სამუზეუმო ქუჩა

A3

"თქვენი აფხაზეთი"

A4

ჩინეთი უკმაყოფილოა

A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2005 წელი. №291 (1091) ფასი 50 თეთრი

ამბები

რა გველის მორიგ „თბილისობაზე"

თუკი გაინტერესებთ, როგორი გემო აქვს თქვენი ქვეყნის პრეზიდენტის ფეხით დაწურულ ყურძენს, 23 ოქტომბერს "თბილისობის" დღესასწაულზე რიყეზე უნდა მიბრძანდეთ. იქ ნახავთ გიგანტურ საწნახელს, რომელიც ერთდროულად 50 ადამიანს დაიტევს. საწნახელში ერთმანეთს შეენაცვლებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საზოგადოებრივი, თუ პოლიტიკური გუნდების წარმომადგენლები.

A2

პროექტი

ქარგი იდეა და ილუზორული ულტიმატუმი

პარლამენტმა ქართულ საზოგადოებაში კიდევ ერთი ილუზია შექმნა. მისმა ულტიმატუმმა რუსი "სამშვიდობო" ჯარების მიმართ ბევრს იმის იმედიანი მოლოდინი გაუღვივა, რომ 15 თებერვალსა და 15 ივნისს რუს "მშვიდობისმყოფელებს" რეალური პრობლემები შეექმნებოდათ და დაუყოვნებლივი გაყვანა თუ არა, მათი პარალიზება მაინც მოხდებოდა.

A4

სამართალი

იუსტიციის მინისტრისა და მონიტორინგის საბჭოს მორიგი დაპირისპირება

ცხინის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კიდევ ერთი პატიმრის გარდაცვალების ფაქტი იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიასა და იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მონიტორინგის საბჭოს წევრებს შორის მორიგი დაპირისპირების საფუძველი გახდა.

A5

ურთიერთობის ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

B2

ამინდი

	19/10	20 /10
თბილისი	20	16
ქუთაისი	16	12
სოხუმი	13	14
გორი	15	7
ონი	11	5
ზუგდიდი	15	14
ახმეტა	20	16
სამტრედია	16	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7975
ევრო	2.1712
ბირვანძა სტერლ.	3.1753
რუბლი	0.0630

ამბები	A 2
ამბები	A 3
პროექტი	A 4
სამართალი	A 5
განცხადებები	A 6
განცხადებები	A 7
სხვადასხვა	A 8

ამერიკის სამხედრო სასწავლებლიდან კიდევ ერთი ქართველი ქალი გაუჩინარდა

მინდია დავითური

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გენერალური შტაბის უფროსისა და მინისტრს მოადგილის სამდღიანი, თითქმის გასაიდუმლოებული ვიზიტი შეერთებულ შტატებში დასრულდა. ოფიციალური არხებით გავრცელებული ინფორმაციით ცნობილია, რომ ეს იყო ორმხრივი კონსულტაციები სამხედრო სფეროში, რომელიც წელიწადში ორჯერ, მორიგეობით იმართება, ხან საქართველოში, ხანაც შეერთებულ შტატებში. ამჯერად ჯერი ამერიკის შეერთებულ შტატებზე იყო. ბალტიმორში ირაკლი ოქრუაშვილი, გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი და მინისტრის მოადგილე დავით სიხარულიძე იმყოფებოდნენ. ამერიკის მხარის წარმომადგენლებმა, როგორც ნამდვილ მეგობრებს შეეფერებათ, გამოთქვეს მზადყოფნა, დაეხმარონ საქართველოს სამხედრო სისტემის რეფორმირებში, მათ შორის - განათლების სფეროში. ეს კი, იმ გაუგებრობების შემდეგ, რაც ქართველი ოფიცრების გადამზადებას ეხება, ამერიკის სამხედრო სასწავლებლებში, ნამდვილად აღარ უნდა იყოს პრიორიტეტული ვაშინგტონისთვის.

დავიწყოთ იმით, რომ ამერიკის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებული მაღალი და საშუალო რანგის არაერთი ოფიცერი, უკან დაბრუნების შემდეგ, ადგილს ვეღარ პოულობს რეფორმირებულ სამხედრო სისტემაში. გენერალი გიორგი გოგაშვილი, გენერალი ვახტანგ კაპანაძე, მაიორი ზვიად ჩადუნელი, მაიორი ედიშერ ჯიშკარიანი, პოლკოვნიკი არტურ კარაპეტიანი, კაპიტნები აფციაური და ძებისაშვილი - ეს მხოლოდ არასარული სიაა ამ ოფიცრებისა (თანაც ცალკე საუბრის თემაა გერმანიაში, ბუნდესვერის სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულების სია, რომელიც ერთიორად აღემატება ჯარიდან დათხოვნილ ამერიკულ კონტინგენტს).

გაგრძელება A3 გვერდზე

პარლამენტი საგარეო საქმეთა მინისტრის "თავს" ითხოვს

გიორგი ასანიშვილი

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო პარლამენტში იყო დაბარებული. ფოტო

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად და პრემიერ-მინისტრის წინაშე დაისვას მისი პასუხისმგებლობის, კერძოდ კი დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ ზურაბ ნოღაიდელი დეპუტატების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და სალომე ზურაბიშვილის გადაყენებაზე უარს იტყვის, საპარლამენტო უმრავლესობა უკან დახევას არ აპირებს და საგარეო საქმეთა მინისტრის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით იმუქრება.

საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებმა ოქტომბრის თვეში უკვე მეორედ მოისმინეს სალომე ზურაბიშვილის ანგარიში. დღემდე ასეთი "პატივი" მინისტრთა კაბინეტის არც ერთ წევრს არ "დაუმსახურებია". გამორიცხული არ არის, რომ კანონმდებელთა მხრიდან მოჭარბებული "ყურადღება" და "ზედამხედველობა" დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელს ძვირად დაუჯდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

„დიდი კოალიციის" კონსერვატული სახე

შრიოდერის მმართველობა ოფიციალურად დასრულდა

ნიკა თარაშვილი

ვრცელდება ხმები, რომ არაპოპულარულმა შტოიბერმა ხელისუფლებაში მოსასვლელად მერკელი "გამოიყენა".

ბერლინში გუშინ ახლად არჩეული ბუნდესტაგის პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც წინ უსწრებდა "დიდი კოალიციის" წარმატებული მოლაპარაკებები და მომავალი მთავრობის შემადგენლობის დასახელება. 18 ოქტომბერს შრიოდერის "წითელ-მწვანე" მთავრობის მმართველობა ოფიციალურად დასრულდა, თუმცა ახალი მთავრობის დამტკიცებამდე იგი კვლავ შეასრულებს თავის მოვალეობას.

დრამატული არჩევნების შემდეგ, რომელმაც გერმანიაში ქაოსი გამოიწვია, ერთი თვის თავზე,

გაგრძელება A3 გვერდზე

საარჩევნო სისტემის ორი დიდი ხარვეზი

ევროსაბჭოს ექსპერტის დაკვირვება

ბერნარ ოუენი, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ექსპერტი, ევროპაში შედარებითი საარჩევნო სამართლის კვლევის ცენტრის გენერალური მდივანი საქართველოში უკვე მეექვსედ ჩამოვიდა. იგი იყო დამკვირვებელი 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების დროს. მისი ბოლო ვიზიტი კი ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. 2005 წლის პირველ ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნების შესაფასებლად ბერნარ ოუენი ევროპის საბჭომ ერთი თვით გამოაგზავნა.

ნანა ქადაგიშვილი

- თქვენ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს უკვე მეორედ დაესწარით. 2003 წლის ნოემბრის შემდეგ რამდენად შეიცვალა საქართველოში საარჩევნო სისტემა?

- ბოლო ორ წელიწადში აღნიშნულ სფეროში მართლაც საგრძნობი ცვლილება მოხდა. დასაწყისში ცესკო მოწყობილი იყო პირამიდული სისტემით, ანუ მას საარჩევნო სისტემის დაბალი საფეხურების, ოლქების მართვისა და კონტროლის ბერკეტი არ გააჩნდა. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ეს პრობლემა აღარ არსებობს. ამის გარდა, კიდევ ბევრი რეფორმა გატარდა და მომავალშიც იგეგმება.

- კონკრეტულად?

- ერთ-ერთი მთავარი რეფორმა, რაც არსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამსახურებაა, არის მცდელობა იმისა, რომ ცესკო აპოლიტიკური საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო გახდეს და ჩამოიცილოს ის პოლიტიკური ამბიციები, რაც წლების მანძილზე ახასიათებდა.

- ფიქრობთ, რომ ცესკო-მ პოლიტიკისგან გათავისუფლება შეძლო?

- ერთ თვეში ძნელია ზუსტი დასკვნის გამოტანა, მაგრამ ფაქტია, რომ ამისი ნება და მცდელობა არსებობს. სხვათა შორის, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველომ ამ რეფორმაში ისეთ ქვეყანასაც კი გაუსწრო, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. აშშ-ში ახლაღა აპირებენ მსგავსი რეფორმის გატარებას. ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯეიმს კარტერი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი 2005 წლის სამ ოქტომბერს გაკეთებულ ერთობლივ ანგარიშში აშშ-ს ხელისუფლებას მოუწოდებენ, საარჩევნო ადმინისტრაცია პოლიტიკური პარტიებისგან გამიჯნოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სიურპრიზი ზამთრის წინ

სასამართლომ "თბილგაზის" გაკოტრების საქმე წარმოებაში მიიღო

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სადისტრიბუციო კომპანია "თბილგაზის" გაკოტრების საქმე წარმოებაში მიიღო. მრავალმილიონიანი დავალიანების მქონე "თბილგაზს", კოლეგიის გადაწყვეტილებით, საკუთარი ქონების მართვა აეკრძალა და საწარმოს გაკოტრების საქმის მენეჯერად "თბილგაზის" მოქმედი გენერალური დირექტორი გიორგი გვიჩიანი დაენიშნა. "თბილგაზზე" ტენდერი დაახლოებით ერთ თვეში გამოცხადდება. მოახლოებული ზამთრის ფონზე, გარკვეული ჯგუფები უკვე ქვეყნისთვის გაზმომარაგების შეწყვეტის საშიშროებაზე ალაპარაკდნენ.

დიანა ჩაჩუა

კარზე მომდგარი ზამთრის წინ, 240 მილიონლარიანი დავალიანებით და გაკოტრებული სისტემით - ასეთია თბილისის გაზმომმარაგებელი კომპანიის "თბილგაზის" დღევანდელი მდგომარეობა.

"21 დღეში "თბილგაზის" ყველა კრედიტორი ვალდებულია, სასამართლოს მათ წინაშე კომპანიის დავალიანების შესახებ აცნობოს. იმ პირებმა კი, ვინც "თბილგაზის" ქონებიდან ნაწილს ფლობს, საწარმოს გაკოტრების მმართველს უნდა აცნობოს და შესაბამისი დოკუმენტაციაც წარადგინოს," - აცხადებენ „თბილგაზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

საქართველო შესაძლოა მომავალი წლის იანვრიდან ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს - ასეთია "თბილგაზიდან" გათავისუფლებულ თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფის პროგნოზი. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამ საინიციატივო ჯგუფის წევრმა უჩა ჩილაჩავამ განაცხადა, "თბილგაზი", ახალი ხელმძღვანელის გიორგი გვიჩიანის წყალობით გაკოტრების რეჟიმში გადავიდა, რის გამოც შესაძლოა ქვეყანას გაზმომარაგება შეუწყდეს. **"რადგან კომპანია გაკოტრების რეჟიმში გადავიდა, მას წინასწარი გადახდის გარეშე გაზს არავინ მიაწვდის და დიდია შანსი იმისა, რომ ახალი წლიდან ქვეყანა ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს,"** - აცხადებდა გუშინ უჩა ჩილაჩავა. ეს უკანასკნელი ქალაქის მთავრობას და ენერგეტიკის სამინისტროს მოუწოდებს, რომ პასუხისმგებლობა აიღოს იანვრიდან გაზის შემოტანასთან დაკავშირებით, რათა მოსახლეობა გაზის გარეშე არ დარჩეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

„სიამოვნება" ჯანმრთელობის ფასად

თამარ მაისურაძე

"ვინტი სულ სხვაა," – ვითომ, ხუმრობით, დაჭყეტილი თვალებითა და გაუმართავი მეტყველებით ცდილობდა "ვინტის" მომხმარებელი ახალგაზრდა იმის გადმოცემას, თუ რა არის ის ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის შესახებაც ხალხი ნაკლებადაა ინფორმირებული. "ვინტი" ნარკოტიკია, რომლის მთავარი "მომხიბვლელობა" მისი სიიაფე და ხელმისაწვდომობაა.

"ვინტით კაიფი სულ სხვაა," – წინადადება დაალაგა 22 წლის ახალგაზრდამ.

მისი საფასური დაახლოებით, 13-15 ლარია. ფასი იმ წამლების ჩამონათვალის მიხედვით მერყეობს, რომელთა შეძენაც "ვინტის" მსურველებს აფთიაქებში შეუძლიათ. მედიკამენტების შეძენის შემდეგ (მათი ჩამოთვლისგან თავს ვიკავებთ) სხვა შენარევებთან ერთად საათნახევრის, ორი საათის განმავლობაში იხარშება მასა, რომელიც შემდეგ უნდა გახმეს და "გამხსნელში" თავიდან გაიხსნას. მასა 10-12 კაცისთვისაა საკმარისი, ამდენად, "ვინტს" ყველა ერთად იკეთებს.

"ვინტის" შემადგენლობაში ძალიან ბევრი მავნე, ტოქსიკური ნივთიერება შედის, რაც იწვევს ძვლების შლას, კბილების ცვენას, კლავს ტვინის უჯრედებს, ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. უმრავლესობას მეტყველების დეფიციტი უყალიბდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმარია სახალხო ომბუდსმენი სოზარ სუბარი

ალექსანდრე ელისაშვილი: კონკრეტულად რას გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა,?

სოზარ სუბარი: მსგავსი გეგმა მსოფლიოს დაახლოებით ოცამდე ქვეყანაშია მიღებული. ეს ნიშნავს, იმას, რომ სახელმწიფომ თავისი პრიორიტეტები ერთიანი გეგმის სახით უნდა გამოხატოს და მასში ასახოს ყველაფერი ის, რის გაკეთებასაც აღნიშნულ სფეროში ვაპირებთ. საქართველოში არსებობს რამდენიმე ასეთი გეგმა, მაგრამ ისინი მხოლოდ ცალკეულ სფეროებს ეხება და ახლა საუბარია მთელი სახელმწიფოსთვის და ყველა სფეროსთვის ერთიანი გეგმის შექმნაზე.

ა. ე.: როდის დაიწყება და დასრულდება გეგმის შემუშავება და შემდეგ როდის ამოქმედდება იგი?

ს. ს.: ორი დღეა, რაც დაიწყო. მუშაობა გულისხმობს დეტალების შემუშავებას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ საქმეს დაახლოებით 18-20 თვე სჭირდება, თუმცა, იმედი მაქვს, რომ თუ მასში დიდი ძალისხმევა ჩაიდება, გეგმის შემუშავება გაცილებით მალე მოხერხდება.

ა. ე.: ვინ მუშაობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე?

ს. ს.: მუშაობენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები. ეს არის სახელმწიფო გეგმა და, ბუნებრივია, მასში სამინისტროებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ.

დერ-ჯერობით, ზოგადი მუშაობა მიმდინარეობს, ამის შემდეგ კი ცალკეული დაინტერესებული ჯგუფები, სფეროების მიხედვით ცალ-ცალკე იმუშავებენ. მაგალითად, რა უნდა გაკეთდეს სისხლის სამართლის სფეროში, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა სფეროში, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ადმინისტრირება და ხალხისთვის უფრო მოსახერხებელი გახდეს. არის მთელი რიგი სფეროები, სადაც ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ დამხმარენი და ბიძგის მიმცემნი, რადგან ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ, ეს არ არის ჩვენი საქმე. ჩვენი საქმე იქნება დახმარება და შემდეგ მონიტორინგი - რამდენად სრულდება ეს გეგმა, რადგან ეს არის სახელმწიფოს გეგმა. მაგალითად, როგორ იქნება ქვეყანაში დაცული პაციენტის უფლებები - ამას არა მხოლოდ ჩვენი 60-კაციანი ოფისი, არამედ მთელი სამინისტრო და სახელმწიფოსგან გამოყოფილი უზარმაზარი სახსრები სჭირდება. უბრალოდ, სახელმწიფომ უნდა თქვას, რა თანხების გამოყოფისთვის არის მზად და ეს იქნება მრავალწლიანი გეგმა, რომელშიც განისაზღვრება პრიორიტეტები, რა უნდა გაკეთდეს პირველ ეტაპზე, მეორე ეტაპზე და ასე შემდეგ.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ამჟამადაც მოქმედებს ორი გეგმა, მაგალითად, წამების წინააღმდეგ ეროვნული გეგმა, ეს არ არის ისეთ მსხვილ დანახარჯებთან დაკავშირებული - ერთის მხრივ, მოიცავს კანონმდებლობის გაუმჯობესებას და ეს კეთდება და მოიცავს მონიტორინგს, თუ რამდენად სრულდება ცხოვრებაში ის კანონმდებლობა. მონიტორინგს ჩვენი ოფისიც აკეთებს, ყოველგვარი გეგმის გარეშე, რადგან ეს ჩვენი მოვალეობაა და ამ გეგმის ფარგლებშიც რამდენიმე უწყება ერთობლივ მონიტორინგს ვახორციელებთ - ეს არის სახალხო დამცველის ოფისი, ეუთო, რომელიც ფინანსებს პროექტს, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების საბჭო.

მეორეს მხრივ, ის მონიტორინგი, რასაც ჩვენი ოფისი დამოუკიდებლად აკეთებს, არის გაცილებით მასშტაბური. მაგალითად, პირველი იანვრიდან დღემდე 2 ათასამდე ვიზიტი გვაქვს განხორციელებული პოლიციის განყოფილებებში და უამრავი დარღვევა გვაქვს აღმოჩენილი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მონიტორინგმა და, ზოგადად, სახელმწიფოს ნებამ წამების წინააღმდეგ შედეგი გამოიღო. აი, მაგალითად, წამება ჩვენების გამოძალვის მიზნით, რაც წესი იყო რევოლუციამდე და მის შემდგომ ერთი წლის განმავლობაში, ახლა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, პრაქტიკულად აღარ არსებობს.

ა. ე.: რა ტიპის დარღვევები გვაქვს?

ს. ს.: მაგალითად, როდესაც დაკავებულს არ აძლევენ ტელეფონით სარგებლობის უფლებას, ან არ განუმარტავენ მის უფლებას, რომ დაკავების პირველივე წუთიდან შეუძლია ადვოკატის აყვანა, აქვს დუმილის უფლება და ასე შემდეგ. იმის თქმა მინდა, რომ თვისობრივად შეიცავლა დარღვევების სახეობა.

მონიტორინგის დაწყებისას, იყო ძალიან ბევრი შემთხვევა, როდესაც არ ხდებოდა ჟურნალში დაკავებულების გატარება, ახლა მსგავსი შემთხვევები გაცილებით ნაკლებია. რაღაცეები უმჯობესდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში კარგი მდგომარეობაა. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

სიურპრიზი ზამთრის წინ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ინტერპრესნიუსი

"თბილგაზი" გაკოტრების რეჟიმში გადაიყვანეს.

ამასთან, როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრები "24 საათთან" საუბარში აცხადებდნენ, მოახლოებული ზამთრის პირობებში "თბილგაზის" გაკოტრების რეჟიმში გადაყვანა და გადახდისუუნაროდ გამოცხადება ქვეყანას "გაზპრომთან" ძალიან არამომგებიან პირობებში აყენებს.

საპირისპიროს აცხადებენ თავად თბილისის გაზმომმარაგებელ კომპანიაში. "თბილგაზში" ზამთრის პერიოდში თბილისში გაზმომარაგების პრობლემების შექმნას გამორიცხავენ და განმარტავენ, რომ ზამთრის განმავლობაში თბილისი ბუნებრივ აირს შეუფერხებლად მიიღებს და გაზის წნევაც ნორმალური იქნება. კომპანიაში გათავისუფლებულ თანამშრომელთა ბრალდებებზე კომენტარს არ აკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ "თბილგაზის" ყველაზე მსხვილი კრედიტორები სახელმწიფო, თბილისის მერია და რუსული კომპანიები "იტერა" და "გაზპრომი" არიან.

თბილისის საკრებულოს წევრი ზურაბ მინდელი საეჭვოდ მიიჩნევს "თბილგაზის" მიერ კრედიტორებისთვის დავალიანების გადახდის შესაძლებლობას. მისი თქმით, ვალები, პირველ რიგში, თბილისის მერიას უნდა გადაუხადონ, რომლის მიმართაც კომპანიის დავალიანება 100 მილიონი ლარია. **"იმ პირობებით, რომელსაც ინვესტორებს, სავარაუდოდ, შესთავაზებენ, საეჭვოა, ვინმე დაინტერესდეს,"** - ეჭვობს მინდელი. მინდელი "თბილგაზის" ახალი მფლობელებად როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ, კერძოდ კი, რუსულ და ყაზახურ კომპანიებს მოიაზრებს.

საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ცვლილებებია მოსალოდნელი სატარიფო პოლიტიკაში. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთი ენერგომატარებლებზე ყველა ქვეყნისთვის მსოფლიო ფასების დაწესებას აპირებს. მისი განმარტებით, ბუნებრივი აირის ფასი "გაზპრომის" ყველა მომხმარებლისთვის გაიზრდება. **"ჩვენ გვსურს, ენერგომატარებლები ყველა პარტნიორს და მოკავშირე ქვეყანას მსოფლიო ფასებით მივაწოდოთ. მოკავშირე ქვეყნები შეღავათებს სხვა ფორმით მიიღებენ,"** - განაცხადა ლავროვმა ტელეკომპანია HTB-ს ეთერში.

ამ ეტაპზე, რუსულ ბუნებრივ აირს შეღავათიან ფასში ექვსი ქვეყანა იღებს - უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, საქართველო, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ სააქციო საზოგადოება "გაზპრომი" 2006 წლიდან ბუნებრივ აირს ბელარუსს უძვირებს. საქართველოსა და უკრაინისათვის ბუნებრივ აირზე სამომხმარებლო ფასის გაზრდის შესახებ განაცხადი კი, სააქციო საზოგადოება "გაზპრომმა" უკვე გააკეთა.

„სიამოვნება" ჯანმრთელობის ფასად

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის, გელა ლეჟავას თქმით, "ვინტი" პარკინსონის მსგავს დაავადებას იწვევს. ეს დაავადება ადამიანს წლების განმავლობაში უვითარდება. ამდენად, პარკინსონი, ძირითადად, ასაკოვანი ხალხის დაავადებაა. "ვინტის" მომხმარებლები კი, პარკინსონის დაავადებას ახალგაზრდობაშიც განიცდიან.

მისი მომხმარებლები მას სინთეტიკურ კოკაინს უწოდებენ, რადგან კოკაინის ეფექტი აქვს. სხვა მომხარშავები ირწმუნებიან, რომ "ვინტის" გაკეთების შემდეგ მისი ეფექტი იმდენად დიდია, რომ შესაძლოა, ორი დღის განმავლობაში ვერ გამოხვიდე ეიფორიიდან. **"აღარ გახსოვს სასმელი და საჭმელი, არც ძილი შეგიძლია, რადგან მოზღვავებული ენერგია არ გაძინებს."**

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი გზის" ხელმძღვანელის დალი უშარიძის განცხადებით (ცნობისთვის, ეს ორგანიზაცია ნარკომანების დახმარებას ცდილობს), "ვინტის" ერთ-ერთმა მომხმარებელმა აღიარა, რომ ამ ნარკოტიკის მიღების შედეგად იმდენად ენერგიული გახდა, რომ ერთხელ მცხეთაშიც კი ჩავიდა ფეხით. მისი მომხმარებლების უმრავლესობა 25-28 წლის ასაკის მოსახლეობაა, მათ შორის ბევრია ახალგაზრდა გოგონა.

კოკაინის ეფექტის მქონე ნარკოტიკის მომხმარებლების უმრავლესობა, სხვა სახეობის ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მსგავსად, თავიანთ "საქმიანობას" წარუმატებელი ცხოვრებითა და უმუშევრობით ხსნიან.

ეს, ერთი შეხედვით, ახალი ნარკოტიკი რუსეთში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ყოფილა გავრცელებული. როგორც ამბობენ, "ვინტის" გამომგონებელი სოხუმელი მამაკაცი ყოფილა, რომელმაც თავისი აღმოჩენა რუსებს გაუზიარა. ერთ-ერთმა "მომხარშავმა" (მათ ვინაობას მათივე თხოვნით არ ვასახელებთ) ისიც თქვა, რომ მომდინარე წლის გაზაფხულზე რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული ორი ქალბატონის "მისია" სწორედ "ვინტით" ვაჭრობა გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ახალი ნარკოტიკის მომხმარებლები ადრე ჰეროინისა და ყაყაჩოს თესლის "კლიენტები" იყვნენ. ჰეროინის გაძვირებისა და ყაყაჩოს თესლის წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლის შემდეგ, მათი ალტერნატივა "ვინტი" აღმოჩნდა. სუბოტექსს ცალკე "კლიენტები" ჰყავს, თუმცა ისეთებიც არიან, რომლებიც ამ ძვირადღირებულ ნარკოტიკში გარკვეული დოზის "ვინტსაც" ურევენ, რათა "უკეთ" იგრძნონ თავი.

იაფფასიანი ნარკოტიკული ნივთიერებით განსაკუთრებით არავინ ინტერესდება, რადგან 15-ლარიანი "ვინტი" არც ჰეროინისა და არც სუბოტექსის ნარკობიზნესის კონკურენტი არ არის. თუმცა, ფაქტია, რომ "ვინტის" მსურველთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი გელა ლეჟავა ამ სიტუაციიდან გამოსავალს შემდეგში ხედავს: **"ყველა ის მედიკამენტი, რომელიც ეფედრინისა და ცრუ ეფედრინის შემცველია, აფთიაქებში რეცეპტით უნდა იყიდებოდეს და მკაცრად უნდა აღირიცხებოდეს,"** – აცხადებს გელა ლეჟავა.

რა გველის მორიგ „თბილისობაზე"

თუკი გაინტერესებთ, როგორი გემო აქვს თქვენი ქვეყნის პრეზიდენტის ფეხით დაწურულ ყურძენს, 23 ოქტომბერს "თბილისობის" დღესასწაულზე რიყეზე უნდა მიბრძანდეთ. იქ ნახავთ გიგანტურ საწნახელს, რომელიც ერთდროულად 50 ადამიანს დაიტევს. საწნახელში ერთმანეთს შეეცავლებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საზოგადოებრივი, თუ პოლიტიკური გუნდების წარმომადგენლები. დღის ბოლოს, "თბილისობის" დღესასწაულს თავისუფლების მოედანზე საქართველოს ისტორიის ფაქტებზე აგებული მუსიკალურ-თეატრალიზებული შოუ დაასრულებს.

თამარ დვალი

ხახვი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, მწვადი და ხინკალი - ეს ყველაფერი "თბილისობისთვის" სოფლებიდან ჩამოზიდული ნობათია, რომელიც წლების განმავლობაში დედაქალაქის ქუჩებში იყიდებოდა. შარშან, თბილისის მერის გადაწყვეტილებით, სოფლებიდან ნობათის ჩამოტანა და გაყიდვა აიკრძალა, ტრადიციული "თბილისობა" ე.წ. "ევროპულმა" შეცვალა და მის აღსანიშნავად გასულ წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან დამატებით 110 ათასი ლარის გამოყოფა გახდა საჭირო, რასაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. წელს ქალაქის ახალი მთავრობა ტრადიციული და "ევროპული" "თბილისობის" სინთეზს აპირებს. როგორც მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში განაცხადეს, წლევანდელი "თბილისობისთვის" სარეზერვო ფონდიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება. აღნიშნული ღონისძიებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტში 100 ათასი ლარია გათვალისწინებული, დანარჩენ ხარჯებს სპონსორები გაიღებენ.

"თბილისობა 2005" 22-23 ოქტომბერს, აბანოთუბანსა და გორგასლის მოედანზე გაიმართება. ღონისძიებები დილის 11 საათიდან საბავშვო თეატრალიზებული წარმოდგენით გაიხსნება. დაგეგმილია ქართული ფოლკლორული, საესტრადო და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების კონცერტები, რომელსაც საღამოს თეატრალიზებული წარმოდგენა, თანამედროვე ქართველი მუსიკოსების კონცერტი და დიზაინერების კოსტუმირებული შოუ დაასრულებს.

კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, თბილისის ქუჩებში გამოსულ ხალხს ტრადიციული კერძებითაც გაუმასპინძლდებიან. შარშანდელის მსგავსად, ქუჩებში ხილ-ბოსტნით გავსებულ დახლებს ველარ შეხვდებით. ეს აკრძალვა წელსაც ძალაში რჩება. არ ირღვევა კიდევ ერთი ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ქალაქის მერი თბილისის საპატიო მოქალაქეებს დააჯილდოებს. ამ ადამიანების ვინაობა 23 ოქტომბერს 17 საათზე გახდება ცნობილი.

აი, რა წარმოდგენებს გთავაზობთ მერიის კულტურის საქალაქო სამსახური:

22 ოქტომბერი - აბანოთუბანი და გორგასლის მოედანი. 11.00 - 17.00 საბავშვო თეატრალიზებული წარმოდგენები, ხრიდოლი, ქართული ფოლკლორული, საესტრადო და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოჯგუფების კონცერტები, სპექტაკლები. სანახობებს წარმოადგენენ მასხარები, ოჩოფეხები, ჟონგლიორები და ილუზიონისტები; **18.00** თეატრალიზებული წარმოდგენა თბილისის დაარსების შესახებ; **19.00** თანამედროვე ქართველი მუსიკოსების კონცერტი და თანამედროვე დიზაინერების კოსტუმირებული შოუ.

თბილისის ისტორიის მუზეუმი ("ქარვასლა") -

არქიტექტურული მაკეტების და პროექტების გამოფენა;

ფოტოები "ძველი თბილისის ხედები". ჟიულ ვერნის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა ნახატების გამოფენა; სენტ-ეჟიუპერის სახელობის ფრანგული სკოლის სპექტაკლი - სტუმრები თბილისთან დამეგობრებულ ქალაქ ნანტიდან;

შარდენი – გალერეები და კაფეები, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი მსახიობები.

ბამბის რიგი – ფოტოგამოფენა მანთაშოვის სახლში, ძველი დოკუმენტური კადრებისა და სლაიდების ჩვენება, ფოტოსტენდი – მანთაშოვის აშენებული შენობები და დეტალები. მოდების ჩვენება ბამბის თემაზე.

სიონის სკვერი – "ხატავენ სტუდენტები."

23 ოქტომბერი - 12.00 – 18.00 გიგანტური საწნახელი, განკუთვნილი ერთდროულად 50 ადამიანზე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გაერთიანებების გუნდები, პოპულარული ადამიანები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სტუდენტი-ახალგაზრდობა თუ მოხალისეები ენაცვლებიან ერთმანეთს. საჭარაუდოდ, ყურძნის დაწურვის პროცესში მონაწილეობას საქართველოს პრეზიდენტიც მიიღებს. საწნახელის უკან გამართულ სცენაზე ჩატარდება კონცერტი – "ქართული ფოლკლორი და ქალაქური სიმღერები;" **17.00 -** თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება.

რუსთაველის გამზირი - 10.00 – 22.00 მხიარული სტარტები, სხვადასხვა პრიზების გათამაშება; ქართული მარკის პრეზენტაცია; გერმანული ჯგუფის "One Arm Pilot"–ის კონცერტი (თბილისის დამეგობრებული ქალაქიდან, ზაარბრუკენიდან) - ზაარბრუკენთან დამეგობრების 30 წლისთავი. კვირის სახალხო სეირნობის ტრადიციული ღონისძიებები

თავისუფლების მოედან - 20.00 - საზეიმო დახურვა. მუსიკალურ-თეატრალიზებული შოუ, აგებული საქართველოს ისტორიის ფაქტებზე. საქართველო წარმოდგენილია ხალხური ცეკვის, სიმღერის, საესტრადო და საოპერო ხელოვნების, მხატვრული ტანვარჯიშის, ცეკვისა და მოძრაობის საშუალებით

ღონისძიებები გაიმართება ქალაქის სხვადასხვა უბნებში. მთელი დღის განმავლობაში, ქართული მუსიკის თანხლებით, ქალაქში იმოძრავებს ავტობუსი, საიდანაც თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს ქართულ კერძებს შესთავაზებენ. ბოლო, ვის ერგება მაღალი ეშელონების ფეხებით დაწურული ღვინო - ამას ალბათ, ზეიმის შემდეგ გავიგებთ.

მოკლედ

სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში სადეზინფექციო ღონისძიებები ტარდება

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი აჭარის რეგიონში იმყოფება, სადაც ფრინველის გრიპთან დაკავშირებული სადეზინფექციო ღონისძიებები ტარდება. აღსანიშნავია, რომ სამუშაოები ტარდება საქართველოს ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტების მიმდებარე ტერიტორიებზე. ამჟამად ბათუმის პორტში ბულგარეთიდან შემოსულ რუმინულ გემს უტარდება დეზინფექცია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აიკრძალა თურქეთის, რუმინეთის, ყაზახეთის, რუსეთის, ბულგარეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის ქვეყნებიდან ცოცხალი ფრინველის საინკუბაციო კვერცხის და სასაქონლო მეფრინველეობის პროდუქტ-ნედლეულის იმპორტი. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს გერმანიასთან, ამერიკასთან, რუსეთთან, რათა შეძენილ იქნას სადეზინფექციო დანადგარები, სადეზინფექციო სითხეები, სპეცტანსაცმელი და სხვა აღჭურვილობა. **24 საათი**

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი ზამთრის სეზონისათვის მზად არის

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი ზამთრის სეზონისათვის მზად არის. როგორც საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა აცხადებს, ამჟამად ყაზბეგის რაიონში, ყუროს ხეობაში გამავალი მილსადენის რეაბილიტაცია სრულდება. მისი თქმით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი სტიქიური უბედურება არ მოხდა, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი ზამთრის სეზონის განმავლობაში უსაფრთხოდ ფუნქციონირებისათვის მზად არის. შეგახსენებთ, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა, რომლითაც საქართველო ბუნებრივ აირს იღებს. აღნიშნული მილსადენით ბუნებრივი აირი სომხეთსაც მიეწოდება. **ინტერპრესნიუსი**

უახლოეს მომავალში ქართული ღვინის მწარმოებელი ასოციაცია დაფუძნდება

საზღვარგარეთ ქართული ღვინის ფალსიფიკატორებს ქართული ღვინის მწარმოებელი ასოციაცია შეებრძოლება. როგორც "ჯი-ვი-ეს მარკეტინგის" სამსახურის უფროსი ლევან კობერიძე აცხადებს, ნოემბრის დასაწყისში ქართული ღვინის მწარმოებელი ასოციაცია დაფუძნდება, რომლის მთავარი ამოცანა უცხოეთში ქართული ღვინის ფალსიფიკატორებთან შებრძოლება იქნება. გარდა ამისა, ასოციაციის მიზანი საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის დაცვის აღორძინება და განვითარება, ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოების აღკვეთა, მეწარმეთა და მომხმარებლების ინტერესების დაცვა და თავისუფალი ვაჭრობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციისათვის ხელშეწყობა იქნება. როგორც კობერიძემ აღნიშნა, სახელმწიფოს ქვეყანაში ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის კარგი მეთოდები აქვს. ამასთან, საქართველოში კომპანიების მიერ წარმოებული ღვინო, ძირითადად, ექსპორტზე გადის და, ამიტომ, ასოციაცია ყურადღებას უცხოეთში ფალსიფიკატორებთან ბრძოლაზე გაამახვილებს. მისივე თქმით, წლის ბოლოსთვის ასოციაცია უკრაინაში და რუსეთში ბაზარზე მყოფი ქართული ღვინოების გამოკვლევას ჩაატარებს. **"და თუ ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქცია აღმოჩნდა, მაშინ ვუჩივლებთ,"** - განაცხადა კობერიძემ. **ინტერპრესნიუსი**

"ირმის ნახტომი" თბილისში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება თბილისის სკოლებში გუშინ დაიწყო. კომპიუტერი ქალაქის 166 სკოლას გადაეცა. მათ შორის პირველი - ანზორ ჩაფიძის სახელობის 147-ე საშუალო სკოლა აღმოჩნდა. სკოლას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ეწვია და პირადად გადასცა 16 კომპიუტერი.

ნინო ბერელიძე

"ლინიუქსი" ის ახალი პროგრამაა, რომლითაც აღჭურვილია კომპიუტერები, რომლებიც საქართველოს ყველა სკოლაში უნდა დაინერგოს. კომპიუტერებში ჩატვირთულია ქართული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ყველა პედაგოგმა სწავლების პროცესში აქტიურად უნდა გამოიყენოს. "ლინუქსის" კომპიუტერული პროგრამა კი უამრავი სიახლის დანერგვის საშუალებას მისცემს ინდივიდუალურად ყველა სკოლას, რადგან დამატებით გამოცხადდება კონკურსი ახალი ქართული სასწავლო პროგრამების შესარჩევად.

"თქვენი სკოლა პირველია, საიდანაც დაიწყო თბილისის სკოლების ინტერნეტიზაცია, რომელიც სამომავლოდ მთელ საქართველოს მოიცავს. რამდენიმე წელიწადში ჩვენ ვიქნებით ერთ-ერთი თანამედროვე ქვეყანა ახალი საკომუნიკაციო საშუალებებისა და ტექნოლოგიების ათვისების მხრივ. არც ერთი სკოლა არ დარჩება კომპიუტერის გარეშე. მაგალითად, უახლოეს მომავალში შატილში გაიხსნება სკოლა, რომელშიც სამ კომპიუტერს დავდგამთ. მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის ეს უნდა იყოს სასწავლო პროცესის ნაწილი, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ, - **ასევე, თქვენი სკოლა პირველი გაეცნობა ამ სასწავლო პროგრამას და თქვენი გამოცდილება აუცილებლად უნდა გაგვიზიაროთ, რადგან თუკი რაიმე ხარვეზი არსებობს, მომავალში გამოვასწოროთ."**

დიღმის მასივის 147-ე საშუალო სკოლას აქვს 17 კომპიუტერით აღჭურვილი ინფორმატიკის კაბინეტი. ინფორმატიკა მოსწავლეებისა და მოსწავლეებისათვის უცხო ხილი არ არის, ამიტომაც გახდა ის პირველი სკოლა იმ 30 საპილოტე სკოლას შორის, რომლებმაც ტენდერში გაიმარჯვა. პროგრამა "ირმის ნახტომი" 2008 წლის ბოლოს დასრულდება და, შედეგად, მოსწავლეთა 100 პროცენტი და მასწავლებელთა 70 პროცენტი ძირითად კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება. პროექტის დასაწყებად წელს ბიუჯეტიდან სამი მილიონი გამოიყო და მომავალი წლისათვის ამდენივეა გათვალისწინებული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სამომავლოდ დონორი ორგანიზაციების მოზიდვასაც იმედოვნებს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს სატელიტით საქართველოს ტელევიზიის პროგრამების გავრცელებაზე საერთაშორისო ღია ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

სატენდერო პირობები სატელიტის სეგმენტზე:

1.სატელიტის პოზიცია ორბიტაზე - 42 Deg East
2.დიაპაზონი - Ku Band
3.ტრანსპონდერის ტიპი - ციფრული Digital Video Broadcast (DVB; MPEG-2)
4.მოდულაციის ტიპი - QPSK
5.სიხშირეების დიაპაზონი - 4 MHz
6.დაფარვის ზონა - ძირითადად ევროპული ნაწილი
7.ველის დაძაბულობა საქართველოში - 50-52 db

მომსახურების ვადა ერთი წელი.

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2005წ. 8 ნოემბრის 11 საათიდან 14 ნოემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ცნობას საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვისმათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკური პირებისათვის:

ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს

დამატებითი მოთხოვნები:

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით. ხელშეკრულების გარანტირების კონკრეტული მოთხოვნები აისახება სატენდერო დოკუმენტაციაში).

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2005წ. 16 ნოემბრის 11 საათიდან 21 ნოემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

საარჩევნო სისტემის ორი დიდი ხარვეზი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დასახელებული რეფორმის გარდა, უნდა აღინიშნოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივა, შეიქმნას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის რეკომენდაციებსაც ცესკო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს გაითვალისწინებს.

- ცესკო-ს ოპოზიციის არც ერთი მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია. მაგალითად, ახლახან საინიციატივო ჯგუფმა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა პირდაპირი წესით არჩევითობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა და ცესკო-ში განცხადება ორჯერ შეიტანა და მაგრამ ორჯერვე უარი მიიღო.

- ამ კონკრეტულ საკითხზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცნობ. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ ოპოზიციური პარტიების აქტიურობა მისასალმებელია. მაგრამ არა მგონია, თვითმმართველობის პირდაპირი წესით არჩევითობის საკითხს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ან ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავდეს.

- პირველ ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებზე ისნის საარჩევნო ოლქში დამკვირვებელი იყავით. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- აღნიშნულ არჩევნებზე ოთხი საარჩევნო უბანი მოვინახულე, ყველაზე მეტი დრო ისნის ოლქში დავყავი, არჩევნების პროცესს ხმის დათვლის პროცედურის დასრულებამდე ვადევნებდი თვალს. უნდა აღვნიშნო, რომ ყველა საარჩევნო უბანზე იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, მათ თვალწინ ხდებოდა ყველა ოპერაცია, ხმის დათვლის ყველა ეტაპი, ეს კი საუკეთესო ბერკეტია გამჭვირვალობის მისაღწევად და არჩევნების გაყალბების თავიდან ასაცილებლად.

- ეი მიიჩნევთ, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდა?

- ვიმეორებ, საარჩევნო ოლქებში გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იყო. თუმცა, შეუძლებელია, არ აღინიშნოს საქართველოს საარჩევნო სისტემის ორი დიდი ხარვეზი. რაც არ უნდა პროფესიონალებით დაკომპლექტებული იყოს ცესკო, ისეთი საარჩევნო კოდექსის პირობებში, როგორიც თქვენს ქვეყანაშია, არჩევნებს კარგად ვერ ჩაატარებს.

კენჭისყრისა და ხმის დათვლის უაღრესად გართულებული პროცედურები ისე ღლის ადამიანს, შეიძლება უნებლიე შეცდომა მოუვიდეს. სხვათა შორის, ეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. სპეციალურად ართულებენ კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურას, რათა გაყალბება თავიდან აიცილონ. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ასეთი გზით, ხშირად უკუშედეგს ვიღებთ. საქართველოს საარჩევნო კოდექსში ძალიან ბევრი რამეა გასამარტივებელი.

ბერნარ ოუენი.

ᲤᲝᲢᲝ ᲚᲘᲚᲝᲛᲐᲜᲘᲫᲘᲡ

მეორე, წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემა, ამომრჩეველთა დაუზუსტებელი სიებია. მაგალითად, ისნის საარჩევნო უბანში არჩევნებზე მისული 53 ადამიანი სიაში არ აღმოჩნდა. ოთხ შემთხვევაში ტექნიკური შეცდომა მოუვიდათ. ერთ-ერთი ამომრჩევლის მისამართი შეცდომით იყო მითითებული, ერთის გვარის დაწერის დროს ორთოგრაფიული შეცდომა დაუშვეს, ორ ამომრჩეველს საარჩევნო უბანი შეეშალა, დანარჩენი 49 ამომრჩეველი კი არც ერთ სიაში არ იყო. დასახელებული პრობლემები ყველაზე მთავარი და თვალშისაცემია. თუ საქართველოს უნდა, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალე და ობიექტური საარჩევნო სისტემა ჰქონდეს, უპირველესად, ეს ორი პრობლემა უნდა მოგვარდეს.

ამერიკის სამხედრო სასწავლებლიდან კიდევ ერთი ქართველი ქალი გაუჩინარდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ისინი კი, ვინც ბოლო დროს გაიგზავნა ამერიკის სამხედრო სასწავლებლებში, ყოველთვის ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაც მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის მქონე სუპერსახელმწიფოშია. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ საქართველოს სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას უკვე მეორედ მოუხდა "გაწითლება" ხელქვეითი ქალების საქციელზე.

როგორც ცნობილია, თვენახევრის წინ ამერიკის თავდაცვის ენობრივი ინსტიტუტი დატოვა კაპიტანმა ია კაპანაძემ, რომელიც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გმირად შერაცხა და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე გაკეთებულ ყოველწლიურ ანგარიშზე პარლამენტშიც დაპატიჟა. "24 საათის" ხელთ არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ია კაპანაძე ამჟამად ერთ-ერთ ამერიკულ რესტორანში უნდა მუშაობდეს.

ცოტა ხნის წინ ჩვენთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ იგივე ენობრივი სასწავლებელი დატოვა საქართველოს კიდევ ერთმა წარგზავნილმა. მისი გვარია მზია მიქიანი, რომელიც ამერიკაში წასვლამდე თავდაცვის სამინიტროს J-7-ში (სამხედრო განათლების დეპარტამენტში) მუშაობდა და თავად კურირებდა ოფიცრების გაცვლას. თავდაცვის სამინისტრო ამ ინფორმაციას, ბოლო დროინდელი ტრადიციის თანახმად, არ ახმაურებს და არც ამერიკაში გაგზავნილი სამხედრო ქალების ასეთ გულატკივნების მიზეზებზე საუბრობს.

ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი ამერიკაში

ნიკა იმნაიშვილი

დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 6 დღიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ეს ზურაბ ნოღაიდელის პირველი ვიზიტია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პრემიერ-მინისტრი, ამსტერდამის გავლით, 19 ოქტომბერს ჩიკაგოში ჩაფრინდება, სადაც დაგეგმილია შეხვედრები ამერიკის მეორე ფინანსური ცენტრის ბიზნეს-წრეებისა და გავლენიანი კომპანიების წარმომადგენლებთან.

21 ოქტომბერს ნოღაიდელი ვიზიტს ვაშინგტონში განაგრძობს.

დაგეგმილია შეხვედრები და მოლაპარაკება ამერიკის ენერგეტიკის მინისტრ სემუელ ბოდმანთან, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ პოლ ვულფოვიცთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ტაკატოში კატოსთან.

ძირითადი თემა საქართველოში მიმდინარე რეფორმები და საერთაშორისო საფინანსო ცენტრების შემდგომი მხარდაჭერა იქნება. განსაკუთრებით ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ზურაბ ნოღაიდელი მიწვეულია "ათასწლეულის გამოწვევის" კორპორაციაში, რომელმაც, რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერად, 300 მილიონი დოლარი გამოჰყო.

გაიმართება მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან, რომელმაც თავად გამოთქვა სურვილი, შეხვედროდა საქართველოს პრემიერს. გარდა ამისა, ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს სენატორებმა ჯონ მაკკეინმა, რიჩარდ ლუგარმა, რობერტ ბენეტმა, ჰარი რეიდმა, ჩაკ ჰეიგელმა და მრავალმა კონგრესმენმა.

პროგრამით გათვალისწინებულია ზურაბ ნოღაიდელის სიტყვით გამოსვლა "მეტროპოლიტან ქლაბში", "ბრუკინგის ინსტიტუტსა" და საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტში (ზბიგნევ ბჟეზინსკის ცენტრში).

ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 26 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპაში გაემგზავრება.

27 ოქტომბერს, ვენაში, დაგეგმილია ზურაბ ნოღაიდელის სიტყვით გამოსვლა ეუთოს საბჭოს სხდომაზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისაუბრებს საქართველოს კონფლიქტურ ზონებში შექმნილ ვითარებასა და საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებზე აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების გადასაჭრელად. აგრეთვე რუსეთის პოლიტიკაზე ამ რეგიონებში. ზურაბ ნოღაიდელი შეხვდება ეუთოს გენერალურ მდივანს.

28 ოქტომბერს დაიწყება საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ავსტრიაში. გათვალისწინებულია ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრები ავსტრიის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელებთან.

საქართველოს პრემიერი სამშობლოში 29 ოქტომბერს დაბრუნდება.

Kuzanov Clinic INN კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თავალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია;სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

პარლამენტი საგარეო საქმეთა მინისტრის "თავს" ითხოვს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ, ვერავინ იტყოდა, რომ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. მართალია, მისი მისამართით პარლამენტიდან ადრეც იყო კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ მთლიანობაში მათ მაინც ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდათ. მეტიც: ზოგიერთ იმ დეპუტატს, ვინც გუშინდელ სხდომაზე მინისტრის მიმართ უამრავ პრეტენზიას გამოთქვამდა, ორიოდე კვირის წინათ გამართულ ანალოგიურ შეკრებაზე სალომე ზურაბიშვილი ქება-დიდებით ცაში აჰყავდა.

ძნელი სათქმელია, განვლილ ორ კვირაში რა კულუარულმა ფაქტორებმა შეცვალა პოლიტიკური ლიდერებისა და დეპუტატების განწყობა. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრზე საპარლამენტო უმრავლესობის განაწყენების ოფიციალურ ვერსიას წარმოადგენს დიპლომატიური უწყების პრეს-ცენტრის მიერ 14 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება, რომელშიც დეპუტატ დავით კირკიტაძის მხრიდან საგარეო საქმეთა სამინისტროზე ზეწოლაა გაპროტესტებული.

სწორედ ამ დოკუმენტზე აპელირებით მოეწყო გუშინდელი საკომიტეტო მოსმენა, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა საკმაოდ მომზადებული შეხვდა. ცალკეულ დეპუტატებს შორის როლები, როგორც ჩანს, წინასწარ გადანაწილდა და ამდენად, თითოეულმა გამომსვლელმა იცოდა, თუ რომელი "ფლანგიდან" უნდა შეეტია ზურაბიშვილისთვის.

საგარეო საქმეთა მინისტრს პირველი "ეკვეთა" ნიკა გვარამია. მისი განცხადებით, საგარეო პოლიტიკური უწყების პრეს-სამსახურის განცხადება **"უსამართლო, არაკომპეტენტური და პოლიტიკურად ძალიან საეჭვოა".**

გვარამიას შეფასებებს დავით ბაქრაძე მთლიანად ეთანხმება და თავის მხრივ, გამოთქვამს შეშფოთებას, რომ თუ სხვა სამინისტროებიც ასევე დაუპირისპირდებიან პარლამენტს, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი დაიწყება.

დეპუტატების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სალომე ზურაბიშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება:. **"ჩემი პრეს-ცენტრის განცხადება არ იყო პარლამენტის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია. ის იყო რეაგირება ერთ-ერთი დეპუტატის გამონათქვამზე. მიმაჩნია, რომ შეურაცხყოფა მომაყენა და ჩემი უფლებები შელახა, როდესაც დავით კირკიტაძე ჩემს დაუდევარ ქმედებებზე საუბრობდა."**

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე საგარეო საქმეთა მინისტრს არასასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო ვიცესპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომელმაც რუსეთში, უკრაინასა და გაეროში საქართველოს ელჩების მიერ პარლამენტის ხელმძღვანელობის სახელზე გამოგზავნილი წერილი წაიკითხა.

როგორც ირკვევა, ირაკლი ჩუბინიშვილი, გრიგოლ ქათამაძე და რევაზ ადამია უკმაყოფილებას გამოთქვამენ თავისი უწყების ხელმძღვანელის მუშაობის სტილით და ნინო ბურჯანაძესა და მიხეილ მაჭავარიანს აუწყებენ, რომ სალომე ზურაბიშვილის მხრიდან სამსახურებრივ გულგრილობას აწყდებიან.

"არა თუ მინისტრთან, არამედ მის მოადგილეებთან დაკავშირებასაც კი ვერ ვახერხებთ," - წერენ ელჩები.

პარლამენტის ხელმძღვანელობის სახელზე სამი ელჩის მიერ გამოგზავნილი წერილი 14 ოქტომბრით თარიღდება და მისი არსებობა სალომე ზურაბიშვილისთვის გუშინდლამდე უცნობი იყო. თუმცა, მინისტრი შენიშნავს, რომ **"წარმოდგენა აქვს, თუ რატომ დაიწერა ეს წერილი".**

"რუსეთის ელჩთან შეხვედრას ადრევე ვაპირებდი, მაგრამ იგი გადაიდო, თუმცა, ჩუბინიშვილი ჩემს ყველა მოადგილეს შეხვდა. რაც შეეხება რევაზ ადამიას, როდესაც ნიუ-იორკში ვიმყოფებოდი, საერთოდ არ დამლაპარაკებია. ვიცი, რომ ის ამჟამად საქართველოში იმყოფება და თუ ჩემთან შეხვედრას მოითხოვს, ამისთვის მზად ვარ. უკრაინის ელჩს კი, ვფიქრობ, სხვა რამე აწუხებს და ამის შესახებ ახლო მომავალში შეიტყობს საზოგადოება," - ბოლომდე მაინც არ ხსნის კარტს ზურაბიშვილი.

მინისტრმა პარლამენტი მანამდე დატოვა, ვიდრე კომიტეტების გაერთიანებული სხდომა თავის ვერდიქტს გამოიტანდა (მოგვიანებით, იგი პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა). საკანონმდებლო ორგანოდან წასვლის წინ სალომე ზურაბიშვილი პარლამენტში თავისი გამოსვლით კმაყოფილი ჩანდა.

"რაც შემეძლო, ყველა კითხვაზე გავეცი პასუხი. ზოგიერთი შეკითხვა კი ჩემთვის გაუგებარი იყო და მათ, ცხადია, ვერ ვუპასუხე," - აღნიშნა მინისტრმა.

კითხვები კი გუშინდელ სხდომაზე მართლაც უამრავი დაისვა, თუმცა ამ კითხვა-პასუხს ახლა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს და, სტენოგრამის სახით, ისტორიას თუ შემორჩება. ამჟამად მთავარი ის არის, რა პოზიციას დაიკავებს აღმასრულებელი ხელისუფლება და პრეზიდენტი: შეელევიან ისინი სალომე ზურაბიშვილს და მის გადაყენებაზე დათანხმდებიან, თუ დაიცავენ მას და ამით საპარლამენტო უმრავლესობასთან ურთიერთობას გაირთულებენ.

გუშინდელი დღის მთავარ თემაზე კომენტარი, გვიან საღამოს, პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა. **"პარლამენტი ასეთ რეჟიმში ვერ იმუშავებს. თავს ვერ მივცემთ იმის ფუფუნების უფლებას, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო არაკორდინირებულად მოქმედებდეს და საელჩოებმა არ იცოდნენ, რა ინსტრუქციებით იმოქმედონ, არსებობდეს სრული გაუგებრობა სამინისტროსა და საელჩოებს შორის ურთიერთობებში, აგრეთვე - უპატივისმცემლობა პარლამენტის, როგორც სტრუქტურის მისამართით,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

სამუზეუმო ქუჩა

გუშინ ეროვნულ მუზეუმში საკონკურსო პროექტები გამოიფინა. "სამუზეუმო ქუჩა"- პირობითად ასე ჰქვია ქალაქის იმ მონაკვეთს, რომელსაც რვა პროექტი მიეძღვნა. კონკურსი ანონიმურია. შედეგები კი 29 ოქტომბერს გამოცხადდება.

"თავისთავად, იდეა ძალიან კარგია და მის ჩამოყალიბებაში ეროვნულ მუზეუმთან და მერიასთან ერთად ჩვენც ვმონაწილეობდით. გუდიაშვილის და მიმდებარე ქუჩები ერთიან სახელოვნებო უბნად მოიაზრება. ამ იდეისთვის ეს იდეალური წინაპირობაა - აქ ხელოვნების მუზეუმია, აქ არის ეროვნული მუზეუმის მთავარი შენობა, გუდიაშვილის მუზეუმი, აქვეა ქაშვეთის ეკლესია, ეროვნული ბიბლიოთეკა. წარმოდგენილი პროექტები პროფესიული ჟიურის მიერ შეფასდება და გამარჯვებულს ან წარმოდგენილთაგან შეარჩევენ, ან ახალ შერჩევას დანიშნავენ. ჟიურის თავმჯდომარე ფრანგი არქიტექტორია" - თქვა კულტურის, ტურიზმისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა.

რას გულისხმობენ სიტყვათშეთანხმებაში "სამუზეუმო ქუჩა"? - ქუჩას, რომელზეც ბევრი მუზეუმი იქნება, ქუჩას, რომელშიც, რაც მოეცვება, ყველაფერს სამუზეუმო ექსპონატის სახე მიეცემა, თუ... ერთ-ერთი ავტორის (ანონიმურია ისევე, როგორც დანარჩენი შვიდი) პროექტს საინტერესო კონცეფცია აქვს. მუზეუმი ჩვენს ცხოვრებაში იმდენად გაუცხოებულია, რომ დღეს კაცს ქუდი თუ არ შეუგდე და, თანაც, თუ ზამთარი არ არის, მუზეუმში ვერ შეიყვან. ავტორს გუდიაშვილის ჩვეულებრივ ბარებიან და კაფეებიან ქუჩაზე გამოტანილი აქვს მინის საექსპოზიციო ხიდი. აქ ძალიან ცნობილი ექსპონატებია განთავსებული და ის ღამით განათებულია. გამვლელი, მოსეირნე, რომელსაც განზრახული არ აქვს მუზეუმში შესვლა, ამ ყველაფერს ხედავს. ავტორს მოქალაქის ცხოვრებაში ძალდაუტანებლად შეაქვს მუზეუმი. მას ინტერესი უჩნდება და სწორედ აქ დევს ავტორის პრინციპიც, საინტერესო არქიტექტურულ-სივრცითი გადაწყვეტა - ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი შევიდეს დახურულ სივრცეში, მუზეუმი გამოდის ქუჩაში. ყველა პროექტს თავისი კონცეფცია აქვს, არაპროფესიონალისთვის სანახაობრივად იმითაა საინტერესო, რომ უბნის "ამოცნობას" ცდილობს. რაც შეეხება, პროფესიონალთა შეფასებას, ეტყობა, არქიტექტორები (ანონიმურებიც და არაანონიმურებიც) ის ხალხია, რომლებიც ჰაიჰარად შეფასებას არ აკეთებენ. დაველოდოთ ჟიურის გადაწყვეტილებას. საკონკურსო გამოფენა კი 28 ოქტომბრამდე გასტანს.

24 საათი

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

"დიდი კოალიციის" კონსერვატიული სახე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

18 ოქტომბერს გერმანიის ახალი ბუნდესტაგი პირველად შეიკრიბა, რითაც დღემდე ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების კოალიციური მთავრობის უფლებამოსილების დასრულება აუწყა.

მართალია, ჯერჯერობით ახალი მთავრობის პროგრამაზე მუშაობა დამთავრებული არ არის, მაგრამ, კანონის თანახმად, ახალი ბუნდესტაგი არჩევნებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა შეკრებილიყო.

უხუცესი დეპუტატის – სოციალ-დემოკრატი ოტო შილის (შრიოდერის კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა) შვიდწუთიანი გამოსვლის შემდეგ დეპუტატები ბუნდესტაგის თანამდებობების განაწილებას შეუდგნენ.

ბუნდესტაგის სპიკერის კანდიდატურას, ისევე, როგორც ფედერალურ კანცლერს, ტრადიციისამებრ, პარლამენტის უდიდესი ფრაქცია წარადგენს ხოლმე. ამჟამადაც ბიულეტენში ერთადერთი კანდიდატის სახელი ეწერა – ნორბერტ ლამერი. მას 606 დამსწრე დეპუტატიდან 564-მა დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია, რომ ლამერს წინა პარლამენტში ვიცე-სპიკერის თანამდებობა ეკავა.

პარლამენტის ძირითადი თანამდებობების დანაწილებით ახალი ბუნდესტაგი მუშაობას შეუდგა, რითაც "დიდი კოალიციის" სახელით ცნობილი ახალი ხელისუფლების მმართველობის ათვლა დაიწყო.

ამავდროულად, ოფიციალურად დასრულდა გერჰარდ შრიოდერის შვიდწლიანი მმართველობა. თუმცა, სანამ ახალ კანცლერს ბუნდესტაგი დაამტკიცებს, "წითელ-მწვანეები" მოვალეობის შესრულებას განაგრძობენ.

მართალია, უკვე ცნობილია ახალი მთავრობის შემადგენლობა, მაგრამ მის დამტკიცებამდე კოალიციური მთავრობის პროგრამაზე შეთანხმებაა საჭირო.

2005 წლის მოწვევის ბუნდესტაგის გახსნით სხდომას წინ უძღოდა "წარმატებული" მოლაპარაკებები კოალიციაში შემავალი პარტიის ლიდერებს შორის. ანგელა მერკელი (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი), ფრანც მიუნტეფერინგი (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) და ედმუნდ შტოიბერი (ქრისტიან-სოციალისტური კავშირი – ქდკ-ს ბავარიული ფრთა) ორშაბათს, თითქმის, სამ საათს თათბირობდნენ დახურულ კარს მიღმა. ანგელა მერკელის თქმით, შეხვედრის მონაწილეებმა "ურთიერთგაგების ახალ სიმაღლეს" მიაღწიეს და სრული მზადყოფნა გამოთქვეს, უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ინტენსიურად ითანამშრომლონ. თუმცა, მერკელი იმასაც აღიარებს, რომ **"მოსალოდნელია, ძალიან, ძალიან რთული მოლაპარაკებები"**, რომელიც 12 ნოემბრამდე უნდა დასრულდეს. კოალიციურ შეთანხმებას ამზადებს 17 სამუშაო ჯგუფი და მათ შთანხმებას უნდა მიაღწიონ მომავალ რეფორმებზე – ნაბიჯებზე, რომელთაც ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის შემცირება უნდა უზრუნველყონ. ასე რომ, **"ჩავარდნა შესაძლებელია. თუმცა, ეს არავის სურს. ჩვენ გვინდა წარმატებას მივაღწიოთ"**, – აღნიშნა სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა ფრანც მიუნტეფერინგმა.

მოლაპარაკებებამდე უკვე ცნობილი იყო კაბინეტის მოსალოდნელ წევრთა ვინაობა. აღსანიშნავია, რომ მერკელის "დიდი კოალიციური" მთავრობა გაცილებით კონსერვატიული იქნება, ვიდრე - შრიოდერის "წითელ-მწვანეების".

მერკელმა თავის კაბინეტში მეტნაკლებად ცნობილი სახეები დაასახელა. თუ ედმუნდ შტოიბერი (ეკონომიკის მინისტრი), ვოლფგანგ შოიბლე (შინაგან საქმეთა მინისტრი) და ჰორსტ ზეეჰოფერი (სოფლის მეურნეობის მინისტრი) გერმანული პოლიტიკის საკმაოდ ცნობილი ფიგურები არიან, ფრანც იოზეფ იუნგსა (თავდაცვის მინისტრი) და ურსულა ფონ დერ ლეიენს (ოჯახურ საქმეთა მინისტრი) არათუ საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ თავად ქვეყნის შიგნითაც ძნელად ცნობენ.

ყველაზე დიდი ხმაური ჰორსტ ზეეჰოფერის მინისტრად დანიშვნის პერსპექტივას მოჰყვა. სხვათა შორის, ანგელა მერკელი ბევრს ეცადა, თავიდან აეცილებინა ზეეჰოფერის კაბინეტში შეყვანა (მერკელსა და ზეეჰოფერს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ჯანდაცვის რეფორმასთან დაკავშირებით), მაგრამ, ედმუნდ შტოიბერის დაჟინებული თხოვნით, იგი ახალ მთავრობაში აუცილებლად იქნება წარმოდგენილი.

ბევრი გერმანელი მიმომხილველი ამ ფაქტს იმის მტკიცებად მიიჩნევს, რომ რეალური მმართველი სწორედ ოდიოზური პოლიტიკოსი შტოიბერია და არა ანგელა მერკელი. გერმანული გაზეთების ნაწილი დღემდეც ხშირად აღნიშნავდა, რომ არაპოპულარულმა შტოიბერმა ხელისუფლებაში მოსასვლელად მერკელი "გამოიყენა".

კანცლერის პოსტის დათმობის საბაბად, მნიშვნელოვანი პორტფელები შეხვდათ სოციალ-დემოკრატებსაც. ვიცე-კანცლერის თანამდებობასა და შრომის მინისტრის სავარძელს დაიკავებს სოციალ-დემოკრატთა ყოფილი საპარლამენტო ლიდერი და დღეს პარტიის თავმჯდომარე - ფრანც მიუნტეფერინგი. მას კი პარლამენტში ყოფილი თავდაცვის მინისტრი პიტერ შტრუკი შეცვლის.

ბუნებრივია, ახალი სახეები გაჩნდებიან ყოფილ "მწვანე მინისტრების" ნაცვლად. იოშკა ფიშერის მაგივრად საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე წარდგენილი ფრანკ-ვოლტერ შტაინმაიერი შრიოდერის მმართველობის დროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო. იგი კანცლერის აპარატის უფროსად მუშაობდა. 48 წლის შტაინმაიერი გერჰარდ შრიოდერის უძველესი თანამებრძოლია, რაც გერმანიის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას საეჭვოს ხდის; ასევე, სოციალ-დემოკრატები უხელმძღვანელებენ იუსტიციის, ფინანსთა, ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროებს.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის მთავრობაში მხოლოდ ოთხი ძველი სახე რჩება და, რაც მთავარია, მათგან სამი ქალია.

სულ 14 მინისტრიდან (წინა მთავრობაში 13 იყო – ახალი სამინისტროს გაჩენა ეკონომიკისა და შრომის უწყების გაყოფამ გამოიწვია) ხუთი ქალია. ასე რომ, თუ ისტორიაში პირველ კანცლერ-ქალსაც მივათვლით, გარეგნულად, გერმანიის პოლიტიკაში ახალი ერა იწყება.

ჩინეთი უკმაყოფილია

იაპონიის პრემიერ-მინისტრის ქმედებები ჩინელების კრიტიკის საგანი ხშირად ხდება, რაც კიდევ ერთხელ განმეორდა იასუკუნის ტაძარში ძუინიშირო კოიძუმისა და იაპონიის პარლამენტის წევრთა ვიზიტის შემდეგ. ოფიციალურმა პეკინმა, აღშფოთების ნიშნად, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დაგეგმილი ვიზიტიც კი გადადო იაპონელ კოლეგასთან. ჩინეთის საგარეო უწყებაში მიიჩნევენ, რომ ასეთ ვითარებაში შეხვედრა უადგილოა.

ჩინელების თქმით, იაპონიის პრემიერ-მინისტრის მიერ იასუკუნის ტაძრის მონახულება, რაც მეორე მსოფლიო ომში დალუპულთა ხსოვნას ეძღვნება და ერომნიშვნელოვნად ამართლებს იაპონიის არმიის დანაშაულებრივ ქმედებებს ამ ომში, აზიელი მეზობლების შეურაცხყოფაა. თანაც ამ ტაძარში დაკრძალულთა შორის 14 მეომარი უკვე ოფიციალურადაა ცნობილი სამხედრო დამნაშავედ.

"კოიძუმის ნაბიჯი იაპონიის მემარჯვენე-ექსტრემისტული ძალების ინტერესებს ღიად გამოხატავს. ამგვარ ქმედებას კი აუცილებლად მოჰყვება სერიოზული პოლიტიკური შედეგები", - აღნიშნა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კუნ ციუანმა.

როგორც ცნობილია, იაპონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ნობუტაკი მატიმურას ვიზიტის ფარგლებში უნდა განხილულიყო ჩინეთის სახელმწიფო ლიდერის ჰუ ძინტაოსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძუინიშირო კოიძუმის შეხვედრის თარიღი.

კოიძუმის ქმედების გამო კი, იაპონური მხარე სერიოზული შეშფოთების მიზეზს ვერ ხედავს. იაპონელთა თქმით, ეს მხოლოდ კერძო ვიზიტი იყო და არ შეიძლება მისი განხილვა ოფიციალურ დონეზე.

"პრემიერი ამ ტაძარში მხოლოდ ომში დაღუპულთა ხსოვნისათვის პატივის მისაგებად გაემართა. ქვეყნისთვის თავგანწირულთა ხსოვნის პატივისცემის მიღმა კი მილიტარისტული ზრახვები არ იმალება", - განაცხადა იაპონიის თავდაცვის მინისტრმა იოსინორი ონომ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იასუკუნის ტაძრის ირგვლივ ატეხილი აყოიტაჟი მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობას არ ეხება. ამ ფაქტით სამხრეთ კორეაც შეშფოთებულია. ოფიციალური სეული, ასევე, ფიქრობს, გადადოს ძუინიშირ კოიძიმისა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტის ნო მუ ჰენის შეხვედრა, რომელიც მიმდინარე წლის მიწურულსაა დაგეგმილი.

ერაყში რეფერენდუმის შედეგები დღემდე უცნობია

ერაყის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 15 ოქტომბერს კონსტიტუციის პროექტის საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგების გამოცხადება რამდენიმე დღით გადადო.

ბი-ბი-სი-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება იმითაა გამოწვეული, რომ ქვეყნის ზოგიერთ რაიონში რეფერენდუმის მონაწილეთა რაოდენობა არანორმალურად დიდი იყო და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად უნდა გადამოწმდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი გაყალბებას. ადრე გავრცელებული ცნობებით, ერაყის ექვსმა პროვინციამ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები წარმოადგენენ, კონსტიტუციის პროექტს მხარი დაუჭირა. რეფერენდუმში ამომრჩეველთა, დაახლოებით, 60-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა სი-ენ-ენ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ, მისი აზრით, კონსტიტუციის მიღება ერაყში ძალადობას ბოლოს ვერ მოუღებს.

"ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თამაშის დასასრულია", - თქვა აშშ-ს საგარეო პოლიტიკური უწყების ექს-ხელმძღვანელმა.

უსაფრთხოების კედელი

ეგვიპტის კურორტზე რამდენიმე თვის წინ განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მაქსიმალური ზომები მიეღო ანალოგიური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, "უსაფრთხოების კედლის" მშენებლობა კურორტ შარმ-ეშ-შეიხის გარშემო უკვე დაიწყო. კედლის სიმაღლე - 1.5 მეტრი, ხოლო სიგრძე 10 კილომეტრი იქნება, რამაც ტერორისტების თავდასხმისაგან ტურისტული ზონის უსაფრთხოება სხვა ანტიტერორისტულ ღონისძიებებთან ერთად უნდა დაიცვას. კედლის მთელ პერიმეტრზე უსაფრთხოების სამსახური დაიწყებს პატრულირებას.

"შარმ-ეშ-შეიხის ტერიტორიაზე ვერც ერთი ავტომანქანა ვერ მოხვდება, თუ 4 საგუშაგოზე შემოწმებას არ გაივლის", - ნათქვამია ეგვიპტის უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"უსაფრთხოების კედლის" მშენებლობა ეგვიპტეს 3.5 მილიონი აშშ დოლარი უჯდება.

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გამოკითხვა

საინფორმაციო საშუალებების ცნობით, აფხაზები გალში ქმნიან ქართულ სამხედრო შენაერთს "ჯიმა" (ძმა). რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

მიხო მოსულიშვილი, მწერალი: "აფხაზები ამას თავიანთი ინტერესების დასაცავად აკეთებენ, თუმცა, რეალურად ის დგას ამის უკან, ვინც სამხედრო მოსამსახურის ხელფასს იხდის, ანუ რუსეთი. საფრთხე ძალიან დიდია. მუშაობა ჩვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს შიგნიდანაც და გარედანაც. მაგრამ არსებობს გონიერი ხალხი და გონიერი კუთხე, რომელსაც სამეგრელო ჰქვია და რომელიც ამ პროვოკაციაზე არ წამოეგება. ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? ამაზე ჩვენს მთავრობაში, ალბათ, ფიქრობენ და დარწმუნებული ვარ, საპასუხო ნაბიჯებიც ექნებათ გათვლილი. კარგია, როცა ამგვარ ფაქტებზე ქართული საინფორმაციო საშუალებები ლაპარაკობენ, მაგრამ ფაქტია, რომ იდეოლოგიურად ყველა ბრძოლა წაგებული გვაქვს, რადგან არ არსებობს ძლიერი საინფორმაციო მხარდაჭერა, თუნდაც ინტერნეტსაიტი ინგლისურ და რუსულ ენებზე, სადაც ბრჭყალები იქნება გახსნილი, ყველაფერი დეტალურად განმარტებული და ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი საინფორმაციო ომის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საიტის არსებობას, სადაც პროფესიონალი ჟურნალისტები იმუშავებენ. იქ შეიძლება ითანამშრომლონ აფხაზმა ჟურნალისტებმაც. ეს არის ურთიერთობის დაუბრკოლებელი საშუალება, ამიტომ ამგვარი საინფორმაციო წყაროს დაუფინანსებლობა დიდი უპასუხისმგებლობაა ჩვენი მთავრობის მხრიდან. საიტს უფრო მეტი საქმის გაკეთება შეუძლია, ვიდრე რომელიმე კონკრეტულ სამსახურს."

ნანა გელაშვილი, ფილოლოგი: "ფსიქოლოგიურად, ეს სწორად გათვლილი ნაბიჯია აფხაზების მხრიდან, შესაძლოა, რუსული გეგმის ნაწილიც არის. რუსებს უნდათ, სამეგრელო საერთოდ მოწყვიტონ საქართველოს, მეგრულ ენას ცალკე ენად გამოყოფენ და ამბობენ: "მეგრელები და ქართველები". მეგრული სეპარატიზმის მე არ მჯერა, მეგრელები თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს "უმაღლესი ხარისხის ქართველებს". სამურზაყანო აფხაზებისთვის ყოველთვის გადაუჭრელი პრობლემა იქნება, ამიტომ ისინი სხვადასხვა გზით ეცდებიან გალელი ქართველების აფხაზებთან ინტეგრაციას. საკითხავია, როგორ გამოუვათ. ისევ და ისევ ჩვენი მხრიდან უნდა გადაიდგას გონივრული ნაბიჯები, რადგან, თუ ერთი პროცენტი მაინც არის საფრთხე, გულგრილად არ უნდა შევხედოთ."

ნოდარ ცაავა, ეკონომისტი, აფხაზეთიდან დევნილი: "ეს ძალიან ცუდი ამბავია, ჩვენმა მთავრობამ ამას უნდა მიხედოს და პასუხი გასცეს. თუმცა, ამგვარ პატარა მოვლენებს მე ასეთ დიდ მნიშვნელობას მაინც არ ვანიჭებ - არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, "ჯიმა" შეიქმნება თუ რაღაც სხვა. მთავარი ის არის, რომ რუსი სამშვიდობოები გავიდნენ. მე მაინც იმედი მაქვს 15 თებერვლისა და 15 ივნისისა, როცა რუს სამშვიდობოებს მანდატი შეუჩერდებათ."

გიორგი ნათენაძე, ინჟინერი: "გალელმა ქართველებმა კი არა, ლამის მე ვთქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე და აქედან წავიდე. რა გააკეთა ჩვენმა მთავრობამ გალელებისათვის და, საერთოდ, აფხაზეთიდან დევნილებისათვის? რატომ დაბრუნდა ის ხალხი გალში, როცა ოფიციალურად ლტოლვილების დაბრუნება არ მომხდარა და რატომ ცხოვრობს მუდმივი შიშის ქვეშ, რომ ვიღაც შეუვარდება და მოკლავს? რა, იქ კარგად ცხოვრობენ? ახლა, მიდი და უსაყვედურე, აფხაზურ ჯარში რატომ მიდიხარო. მე მაინც მგონია, რომ ეს ამბავი აფხაზებს არ გამოუვათ, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის საწინააღმდეგოდ რამე ნაბიჯები გადავდგათ?"

მურმან ყოლბაია, საზოგადოებრივი კავშირის - "სამურზაყანო" - თავმჯდომარე: "ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, სულ ახლახან ველაპარაკე გალში ჩემს ახლობლებს და ვანცნობებს. და ეს არის, ჩემო ბატონო, მტკნარი სიცრუე, ამაში არც ერთი გალელი მონაწილეობას არ მიიღებს. მე არ ვიცი არც ერთი ფაქტი, რომ გალელ ახალგაზრდას საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ეთქვას და ამ სამხედრო შენაერთში შესულიყოს. მე შემიძლია გარანტად დავდგე, რომ არც ერთი გალელი ამას არ გააკეთებს. თუ მოძებნეს აფხაზებმა გააფხაზებული ქართველები, მათ შორის, უკანონო ბანდფორმირებების წარმომადგენლებიც, და თქვეს, რომ ქართულ შენაერთს ქმნიან, ეს არ ვიცი, მაგრამ არც ერთი გალელი ქართველი ამას არ იკადრებს. თუმცა ცხადია, რომ ამით დაწყებულია ძალიან დიდი პროვოკაცია - ეს არის მცდელობა, 1998 წლის მოვლენები განმეორდეს, როცა გალის ტერიტორიის ერთი მესამედი პირისაგან მიწისა აღიგავა.

ეს არის რუსების შემხვედრი ქმედება იმის პასუხად, ჩვენმა პარლამენტმა რა დადგენილებაც მიიღო რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით."

გადარჩენილი ფოტოები

მენატრები

მოსკოვი. 1976 წელი. ენგურჰესის მოწინავე მშენებლების ჯგუფი მოსკოვის გავლით გდრ-ში მიემგზავრება.

ფოტო მოგვაწოდა მელიტონ ძიძავამ (მარჯვნიდან მეოთხე).

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"

ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს და საიტზე - www.yourabkhazia.ge; www.forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

კარგი იდეა და ილუზორული ულტიმატუმი

ზაზა ფაჩუაშვილი

პარლამენტმა ქართულ საზოგადოებაში კიდევ ერთი ილუზია შექმნა. მისმა ულტიმატუმმა რუსი "სამშვიდობო" ჯარების მიმართ ბევრს იმის იმედიანი მოლოდინი გაუღვივა, რომ 15 თებერვალსა და 15 ივნისს რუს "მშვიდობისმყოფელებს" რეალური პრობლემები შეექმნებოდათ და დაუყოვნებლივი გაყვანა თუ არა, მათი პარალიზება მაინც მოხდებოდა. მაგრამ ჩანს, რომ ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. პარლამენტის შესაბამისი დადგენილება, თავისთავად, ქმედითუნარიანი არ არის და რუსი "სამშვიდობოების" გაყვანის საფუძველს არ წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი.

ზაზა ფაჩუაშვილი

რუსი "სამშვიდობოების" პოსტი ენგურზე.

პაატა ზაქარეიშვილი: "ის, რომ საქართველოს პარლამენტი სამართლიანად ცდილობს, მსოფლიოს თვალში რუსეთი აგრესორად წარმოაჩინოს, მისასალმებელია. ეჭვი არ არის, რომ ამ ტიპის დოკუმენტები უნდა იყოს უფრო მეტი და შედეგებზე გათვლილი, მაგრამ პოლიტიკას უფრო თანმიმდევრული და გონივრული ნაბიჯები სჭირდება. იდეა მშვენიერია, მაგრამ საკითხავი ისაა, რამდენად მიგვიყვანს ეს დოკუმენტი მიზანმდე. თუ ჩვენი მიზანი დსთ-ს სამშვიდობოების გაყვანაა, ეს საკმარისი არ არის."

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- ეს დოკუმენტი გაკეთებულია ძალიან არაკვალიფიციურად. ორი დოკუმენტი ერთმანეთშია არეული – აფხაზეთის კონფლიქტი და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი. ეს არის ორი განსხვავებული ფორმატის კონფლიქტი. აფხაზეთში მეთვალყურეა გაერო, სამშვიდობო ოპერაცია კი დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად ხორციელდება.

სამხრეთ ოსეთში მეთვალყურეა ეუთო, ხოლო სამშვიდობო ოპერაციას ახორციელებს ქართულ-ოსურ-რუსული შერეული კონტინგენტი. შესაბამისად, ერთი ხელის მოსმით ორივეს გასტუმრება არაკომპეტენტურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ორივე კონფლიქტი ქართული მხარის გადასაწყვეტია, მაგრამ სჯობს, ჯერ ერთს მივხედოთ, მერე - მეორეს. ხელისუფლებას აბსოლუტურად ვეთანხმები იმაში, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილია სახრეთ ოსეთის კონფლიქტზე, რაც აფხაზეთის კონფლიქტთან შედარებით, უფრო იოლი გადასაწყვეტია. ამიტომ, ორივეს ერთბაშად არ უნდა "მივახტეთ". ახლა რა გამოდის? – ჩვენ ამ დოკუმენტით აფხაზები და ოსები რუსეთთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ გავაერთიანეთ. ჯერ ერთი საკითხი უნდა გადაგვეწყვიტა, მერე მეორე, და აფხაზი პოლიტიკოსები ასეთი აქტიურები არ იქნებოდნენ. ეს დოკუმენტი არ არის სამშვიდობოების გაყვანის სამართლებრივი საფუძველი. ისევე, როგორც რუსული ბაზების შემთხვევაში. რუსული ბაზების გაყვანის სამართლებრივი საფუძველი იყო 1999 წლის სტამბულის ხელშეკრულება და არა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება. სტამბულის ხელშეკრულების შესრულება რომ გაიწელა, პარლამენტმა მთავრობა აიძულა, სტამბულის ხელშეკრულება "აემუშავებინა."

ასევე სამშვიდობოების გაყვანის სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს ის დოკუმენტები, რომლითაც ეს სამშვიდობოები შეიქმნა. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ეს არის სოჭის ხელშეკრულება, აფხაზეთის შემთხვევაში – 1994 წლის ოთხმხრივი ხელშეკრულება და დსთ-ს გადაწყვეტილება. ასე რომ, ამ დადგენილებით 15 თებერვალს და 15 ივნისს საქართველოდან არც ერთი სამშვიდობო არ გავა.

ასევე მცდარი პოზიციაა, რომ დღესაც ჩვენ აფხაზეთის ხელისუფლებას აფხაზეთის მოსახლეობისაგან ვმიჯნავთ. თავის დროზე, აფხაზეთის არჩევნებმა აჩვენეს, რომ იქ მოსახლეობა და ხელისუფლება ერთიანია. ახლა კი, ჩვენ რას ვეუბნებით? – რომ თქვენ, აფხაზი ხალხი კარგი ხართ, არაფერს გერჩით, მაგრამ თქვენს მიერ არჩეული ხელისუფლება მაფიოზური, კორუმპირებული და რუსეთთან შეკრულია. ეს არასერიოზული ქმედებაა. სამწუხაროდ, ჩვენ არათუ არ ვიცით, რა შევთავაზოთ აფხაზებსა და ოსებს (ოფიციალური კონცეფცია არ არსებობს), არამედ ჩვენ არც კი ვიცით, რა ხდება მათთან. როგორ შეიძლება, არ ვიცოდე, რა ხდება აფხაზეთში და შევქმნა რაიმე კონცეფციები. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ გვინდა აფხაზეთის მოსახლეობის გახლეჩა, მაშინ, როცა იქ არავითარი რესურსი არ გაგვაჩნია (მაგალითად, რუსეთს ჩეჩნეთში თავისი ხალხი ჰყავს). სხვა საქმე იქნებოდა, აფხაზეთში რომ პროქართული ორიენტაციის პოლიტიკური პარტია ან რაიმე ჯგუფი მაინც არსებობდეს. ასეთი რამე ბუნებაში არაა. ამიტომ, ვის სასარგებლოდ ვხლეჩთ აფხაზ საზოგადოებას? გახლეჩას აზრი მაშინ აქვს, როცა ერთი ნაწილი შენსკენ წამოვა.

- თქვენი აზრით, ეს დადგენილება სრულიად არაფრის მომცემია?

- პარლამენტის დადგენილება მნიშვნელოვანი და კარგია მხოლოდ საქართველოს მთავრობისთვის. სხვისთვის არავისთვის სავალდებულო არაა. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შექმნას კონცეფცია, რომელიც სამშვიდობოების გაყვანის საფუძველი შეიძლება გახდეს; რომელსაც უნდა მოჰყვეს მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, დსთ-ში, მოსკოვში. თუ საქართველოს მთავრობამ ეს არ გააკეთა, მაშინ ყველაფერი ყოფილა ბლეფი და მსუბუქი გათამაშება პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის. ისევე, როგორც შევარდნაძის დროს იყო – პარლამენტი იღებდა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს, რომელსაც შევარდნაძე აღარ ასრულებდა.

თავის დროზე, ყოველ 6 თვეში ერთხელ რუს სამშვიდობოებს უგრძელდებოდა მანდატი. მოგვიანებით, დსთ-ს პეტერბურგის სამიტზე ეს ექვსთვიანი ვადა ამოიღეს და რუსი სამშვიდობოების მანდატი სამუდამოდ დააკანონეს, ოღონდ, ერთი პირობით – სამშვიდობო ძალები გავიდოდნენ იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის რომელიმე მხარე ამას მოითხოვდა. დღეისათვის მოქმედებს შეთანხმების ერთი ნაწილი, ანუ უვადო მანდატი და რატომ არ შეიძლება მეორე ნაწილის ამოქმედებაც. ამიტომ, საქართველოს პარლამენტმა უნდა დაავალოს საქართველოს პრეზიდენტს (პარლამენტის ეს დადგენილება პრეზიდენტს ამას არ ავალდებულებს), რომ მან დსთ-ს პეტერბურგის სამიტით მინიჭებული უფლება გამოიყენოს და საქართველოდან რუსი სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა მოითხოვოს.

- გამოდის, თუ საააკაშვილმა მოინდომა, შეიძლება სამშვიდობოების გაყვანა?

- საააკაშვილმა თუ მოინდომა, შეუძლია მიმართოს დსთ-ს მისი სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით.

- კი, მაგრამ, ცხადია, რომ რუსეთი ამას არ დათანხმდება და სამშვიდობოებს არ გაიყვანს. მოგეხსენებათ, ოფიციალურად ეს დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტია, რეალურად კი - რუსის ჯარი.

- რუსეთი ამას არ დათანხმდება, მაგრამ ეს უკვე ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისია, სადაც რუსეთი წარმოდგენილი იქნება, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე და არა სამშვიდობო გარანტი, რითაც ის მთელ მსოფლიოში ძალიან ამაყობს.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ რუსეთი საქართველოში ვერ შემოდიოდა. იმისათვის, რომ შემოსულიყო, შევარდნაძე შევიდა დსთ-ში და რუსეთი საქართველოში შემოვიდა დსთ-ს ჯარების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლა ანექსია იქნებოდა. ამას კი რუსეთი ვერ გააკეთებდა. ახლაც შეიძლება ისეთი ბარიერების შექმნა, რომლის გადალახვა რუსეთს ძალიან გაუჭირდება. თუ საააკაშვილის მოთხოვნის შემდეგ რუსის სამშვიდობო ჯარი აფხაზეთში მაინც დარჩება, მას სამშვიდობო სტატუსი აღარ ექნება და მსოფლიოს თვალში იქნება აგრესორი. მას მოესპობა სამშვიდობო ძალების ავტორიტეტი მსოფლიოში. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მთავრობის მოთხოვნას არაფერი მოჰყვება. რუსეთის ავტორიტეტი დაეცემა და ბევრი რამეც მოხდება. ასეთ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო განცხადება, რომ ჩვენ აფხაზეთის კონფლიქტში სამხედრო ძალის გამოყენებას პრინციპულად არ ვაპირებთ და ამიტომ სამშვიდობო ძალები აღარ გვჭირდება.

- რა ვუყოთ იმას, რომ მოსკოვის დეზინფორმაციული პოლიტიკის შედეგად გაეროს უშიშროების საბჭო რუსი სამშვიდობოების მოქმედებას აფხაზეთში დადებითად აფასებს?

- რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია და, ამიტომ, გაერო საქართველოდან დსთ-ს სამშვიდობოების გაყვანას არასოდეს დათანხმდება. რუსეთი ამ გადაწყვეტილებას დაბლოკავს. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ დსთ-ს მექანიზმი და შემდეგ ახალი რეალიების გათვალისწინებით ვიმოქმედოთ.

P.S. ამ თემაზე საუბარს მომავალშიც გავაგრძელებთ და ვნახავთ, რამდენად კოორდინირებულად მოქმედებენ ამ საკითხში საქართველოს მთავრობა და პარლამენტი.

ქართულ-აფხაზური შეხვედრა სოხუმში

20 ოქტომბერს სოხუმში მორიგი ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართება, ურთიერთუსაფრთხოებისა და სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის ფორმატით.

შეგახსენებთ, რომ ეს იქნება რიგით მეხუთე შეხვედრა. ბოლო შეხვედრა თბილისში, 4 აგვისტოს, გაეროს მისიის შტაბ-ბინაში შედგა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ იმ ქვეყნების ელჩები, რომლებიც წარმოადგენენ გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა წრეს საქართველოს საკითხში. შეხვედრაზე განიხილეს უსაფრთხოების გარანტიები, მისი საერთაშორისო ასპექტები და განხორციელების მექანიზმები. მაშინ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზადყოფნა საომარი ქმედებების განუახლებლობის თაობაზე. 20 ოქტომბრის შეხვედრაში ქართული მხრიდან მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა.

გიორგი ხაინდრავა: **"ეს შეხვედრა ტარდება გაეროს ეგიდით, მეგობართა ჯგუფთან ერთად. ჩვენ გვინდა მოვამზადოთ ისეთი დოკუმენტი, რომელიც აფხაზურ დე ფაქტო ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, გამოავლინოს საკუთარი ნება – კისრულობს ის აფხაზური საზოგადოების ინტერესების დაცვას, თუ მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება. დღევანდელი რეალობა მძიმეა. აფხაზეთში 45 ათასი აფხაზი ცხოვრობს და ყოველი მათგანი ჩვენდამი უნდობლობითაა გამსჭვალული, თუმცა მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებიც დიდი იმედით ელოდებიან იმ შესაძლებლობების გამოჩენას, რასაც ნდობის აღდგენა უნდა მოჰყვეს. მათ კარგად ესმით, რომ სხვა მომავალი არ გააჩნიათ."**

რკინიგზის ერთობლივი შესწავლა დაიწყო

აფხაზეთში რკინიგზის მონაკვეთის მდგომარეობის შესწავლის მიზნით 11 ქართველი რკინიგზელი ჩავიდა. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობს "საქართველოს რკინიგზის" ტექნიკური დირექტორი იური ჭავჭანიძე. ქართველების შემდეგ აფხაზეთში რუსი რკინიგზელებიც ჩავიდნენ, რომლებმაც აფხაზეთის რკინიგზა ერთხელ უკვე დაათვალიერეს, მაგრამ ერთობლივ სამუშაოებში მონაწილეობას მაინც მიიღებენ.

ერთობლივი ჯგუფი ორ ჯგუფად დაიყო. ერთი ჯგუფი შეისწავლის სოხუმის რკინიგზას, მეორე – მონაკვეთს სოხუმიდან ფსოუმდე.

სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას თქმით, ეს იქნება მატარებელი, რომლითაც აფხაზეთიდან დევნილი ქართველები სახლებში დაბრუნდებიან. თუმცა, იქამდე არა ერთი და ორი წელი გავა, რაც მხოლოდ ტექნიკური პრობლემების მოგვარებას დასჭირდება.

აფხაზური ისტორია

პიანინო

ათი წლის წინათ ჩვენთან, აფხაზეთში, ომი მიმდინარეობდა.

მე, როგორც მომიხდებოდა, ისე ვცხოვრობდი: ხან შეშას ვჩეხავდი, ხან წყალს ვათრევდი, ვადუღებდი, რომ დასალევად ვარგისი ყოფილიყო. ასე, ნელ-ნელა ვცხოვრობდით...

გარშემო კი სულ ისროდნენ და ისროდნენ. "ესენი" ისროდნენ, "ისინი" ისროდნენ... ცვიოდა ჭურვების ნამსხვრევები. მეზობელიც კი ხან ჩემს ტუალეტს დაცხრილავდა, ხან ცაში ისროდა. მოკლედ, სისხლი გამიშრა!

სულ ვფიქრობდი, რა ეტაკა, რამ გადარია ასე ჩემი მეზობელი. ნეტა, რა ჰქონდა გულში?

თვითმფრინავები და ვერტმფრენები ისე დაბალზე დაფრინავდნენ, რომ მართლა ძალიან გვეშინოდა. რა უნდა გვექნა? ასე ვცხოვრობდით. ხალხი კი ისრაელში გარბოდა, რათა ამ საგიჟეთისთვის თავი დაეღწია.

მე ცოლი მყავს ებრაელი. მაგრამ ისრაელში წასვლაზე ვერაფრით დავითანხმე.

"პიანინოს დატოვება მენანება. იგი ხომ დედაჩემმა მაჩუქა და მისი სახსოვარია?! გაიზრდება ქალიშვილი და გამოადგება ბებიის ნაჩუქარი პიანინო," - მეუბნებოდა ჩემი ცოლი.

მე კი ჩემთვის ვფიქრობდი ხოლმე: ნეტა, ვინმე გაგვქურდავდეს და ამ პიანინოს მოიპარავდეს-მეთქი. იქნებ, მაშინ მაინც მომეხერხებინა ცოლის დათანხმება ისრაელში წასვლაზე.

დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი ქართველი მეზობლისთვის მეთხოვა, რომ გავექურდე.

ბოლოს ვიპოვე ასეთი მეზობელი. ის კი მეუბნება: **"შენ რა, გაგიჟდი? რას მეუბნები, გინდა საქვეყნოდ თავი მომეჭრას? შენ ხომ პიანინოს გარდა არაფერი არ გაგაჩნია?!"**

ასე რომ, არ მოვიდა მეზობელი ჩემი ოჯახის გასაძარცვად.

საუბარში ერთვება ცოლი: "რა გინდა ამ პიანინოსგან? სულ პიანინო და პიანინო გაკერია პირზე! ძალიანაც კარგი, რომ არავინ მოვიდა მის მოსაპარად! ეს პიანინო ხომ დედაჩემის სახსოვარია. სიკვდილის წინ იყიდა ორი პიანინო: ერთი ჩემთვის, მეორე – ჩემი დისთვის. ამიტომ ძალიან მიყვარს პიანინო და "მეცოდება" იგი".

ქმარი: "რა გააწყალე გული ამ შენი პიანინოთი. ეგ რომ არ ყოფილიყო, წავიდოდით ისრაელში, ჯანმრთელად და კარგად ვიქნებოდი."

ცოლი: "რომ იცოდე, ისრაელშიც ომია, იქაც იბრძვიან და თან, გოგოებიც მიჰყავთ ჯარში."

როგორც იქნა, დამთავრდა ომი აფხაზეთში. გამარჯვების მესამე დღეს ჩვენს სახლს ხანძარი გაუჩნდა. სახლი უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული, როდესაც ჩემი ცოლი "გაექანა" ჯარისკაცებისკენ, რათა ისინი ალმოდებული სახლიდან პიანინოს გამოტანაში დახმარებოდნენ.

მართლაც, როგორღაც დაიხანხმა ექვსი ჯარისკაცი. ისინი შეცვივდნენ ცეცხლმოდებულ სახლში და გამოათრიეს პიანინო. სახლი სულ მთლად ჩაიწვა, ცოლი კი მეუბნება: "ყველაფერი დაგვეწვა, მაგრამ რა კარგია, რომ დედის სახსოვარი პიანინო გადარჩა!"

ქმარი: "ამ პიანინოს გამო რომ ისრაელში ვერ წავედით?"

ცოლი: "ვის სჭირდები შენ იქ, ისრაელში? ყველგან კარგია, სადაც ჩვენ არ ვართ."

რუბრიკას "ცხოვრებისეული ისტორიები" უძღვება ლელა მარგიანი. აუდიოპროექტი მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.

იუსტიციის მინისტრისა და მონიტორინგის საბჭოს მორიგი დაპირისპირება

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კიდევ ერთი პატიმრის გარდაცვალების ფაქტი იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიასა და იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მონიტორინგის საბჭოს წევრებს შორის მორიგი დაპირისპირების საფუძველი გახდა.

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გუშინწინ, გვიან ღამით, 29 წლის პატიმარი გარდაიცვალა. იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი გულისსისხლძარღვთა უკმარისობა გახდა.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წარმომადგენლების ინფორმაციით კი, პატიმარი მძიმე ავადმყოფი იყო და ორივე ფილტვის ტუბერკულიოზით გარდაიცვალა. ინფორმაციის გადასამოწმებლად გუშინ დილით, ციხის საავადმყოფოში შესვლა სცადეს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრებმა, თუმცა, საბჭოს თავმჯდომარე, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე და საბჭოს წევრები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები ანა დოლიძე და ბესიკ აბაშიძე საავადმყოფოში არ შეუშვეს. მათი განცხადებით, პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებმა საკონტროლო პუნქტზე მობილური ტელეფონების დატოვება მოსთხოვეს, უარის გამო საავადმყოფოში შესვლაზე კატეგორიული უარი მიიღეს.

საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ მათ პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მობილური ტელეფონის შეტანის სრული უფლება აქვთ და გუშინდელი აკრძალვა სამინისტროს მხრიდან ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა, რათა საბჭოს თავის ფუნქციების განხორციელებაში და მუშაობაში ხელი შეეშალოს.

„მიზეზად ის დაგვისახელეს, რომ მობილური ტელეფონებით ვერ შეგვიშვებდნენ. არადა, მობილურის, კალმისა და ფურცლის გარეშე იქ სრულფასოვანი მუშაობის საშუალება არ მოგვეცემოდა. ციხის ადმინისტრაციამ არც პატიმრის დაღუპვის მიზეზი დაგვიდასტურა და, საერთოდ, ჩვენს არც ერთ კითხვას პასუხი არ გასცა," - განაცხადა თეა თუთბერიძემ, რომლის თქმითაც, მონიტორინგის საბჭოს წევრებს საპატიმროში გადაღებების უფლება კანონით აქვთ მინიჭებული, მაგრამ სამინისტრო ყოველდღე ახალ მიზეზს იგონებს, რათა ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღარ შეუშვას და საზოგადოებამ არაფერი გაიგოს იმ დარღვევებზე, რაც ციხეში ხდება.

იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას განცხადებით კი, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში პატიმრის გარდაცვალება ახალი სკანდალის თემა არ უნდა გახდეს.

იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ საპყრობილეში მონიტორინგის საბჭოს წევრების შეშვებაზე არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, მაგრამ თუკი საბჭოს წევრებს აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გაკეთება მოესურვებათ, ამისთვის მინისტრის შესაბამისი ნებართვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაწერა დაუშვებელია.

„პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თეა თუთბერიძემ სამკურნალო დაწესებულებაში ჩამწერი აპარატურით შესვლა სცადა. დაწესებულების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნის შემდეგ, რომ აპარატურა საკონტროლო პუნქტზე დაეტოვებინა, ის დაწესებულებაში აღარ შესულა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არავის, მათ შორის არც მონიტორინგის საბჭოს წევრებს, არ აძლევს უფლებას, იუსტიციის მინისტრის ნებართვის გარეშე, საპატიმროებში აუდიო-ვიდეო გადაღება აწარმოონ. კონსტანტინე კემულარიას განცხადებით, იგი შეუთანხმდა სახალხო დამცველს, რომ ამ უფლებით სამი პირი აღიჭურვება, რომლებსაც მინისტრს ომბუდსმენი წარუდგენს," – მომხდართან დაკავშირებით ასეთი განცხადება გაავრცელა იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურმა.

მონიტორინგის საბჭო კი, იუსტიციის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას კიდევ ერთხელ აპირებს. თეა თუთბერიძის თქმით, ამ ფაქტის შემდეგ მონიტორინგის საბჭო იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს, რომლებიც პატიმრების ჯანმრთელობაზე არიან პასუხისმგებელნი. საბჭო აპირებს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც, რომლებიც მონიტორინგის საბჭოს წევრებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარებაში ხელს უშლიან. ასეთ პირთა შორის თუთბერიძე, უპირველესად, იუსტიციის მინისტრ კონსტანტინე კემულარიას ასახელებს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. იუსტიციის მინისტრის კონსტანტინე კემულარიას განცხადებით, პატიმრებისთვის საბანკო ანგარიშების გახსნა სავსებით რეალური პერსპექტივაა და ეს ქუთაისისა და რუსთავის ახალ საპყრობილეებში განხორციელდება კიდეც.

მინისტრის თქმით, პატიმრებთან ყოველდღიურად ტონობით ამანათი შედის, რომლის სათანადო შემოწმება შეუძლებელია. ამ გზით საპატიმროში აკრძალული ნივთები, მათ შორის ნარკოტიკები და იარაღი ხვდება. მინისტრის თქმით, ამანათების დიდი მოცულობა კვების პრობლემას უკავშირდება.

"2006 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხების გაზრდა პატიმართა კვებისათვის. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, ამანათების შეზღუდვისა და პატიმრებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნის საკითხი დაგვეყენებინა. მათ ექნებათ ელექტრონული ბარათები, რომლითაც საპყრობილეებში გახსნილ მაღაზიებში პირველადი მოხმარების საგნებს შეიძენენ", - აღნიშნა მინისტრმა.

საბანკო ანგარიშებზე პატიმრებს თანხებს მათი ახლობლები ჩაურიცხავენ. კანონით დაწესდება ლიმიტი, რა ოდენობის თანხის დახარჯვის უფლება ექნება პატიმარს.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის სამინისტროს ეს ინიციატივა პარლამენტარებმა არასერიოზულად აღიქვეს და მას დაცინივთ "გენიალური" უწოდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ეკლესიის ძარცვაში ეჭვმიტანილი მამაკაცი დაიკავეს. წარსულში ნასამართლევი ი. მელუაძე ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის ძარცვაშია ეჭვმიტანილი. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ფაქტზე ორი პირი დაიკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავებულია 30 წლის თეიმურაზ თევზაძე, რომლისგანაც ამოიღეს "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, 2 მჭიდით და 16 ვაზნით. გარდა ამისა, დაიკავეს სოფელ ლალისყურში მცხოვრები, 15 წლის გიორგი იჩუკაიძე, რომლის სახლიდან ამოიღეს ხელყუმბარა "ფ-1" და ავტომატ "აკმ"-ის 12 ვაზნა. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისში მცხოვრები, კახა მეფარიშვილი, რომლისგანაც ამოიცეს 2 აბი სუბოტექსი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

გორი. გორის რკინიგზის სადგურზე შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს გორის რაიონის სოფელ ხვითში მცხოვრები, 19 წლის გიორგი მეგრელიშვილი, რომელმაც ორ პირთან ერთად თბილისი-ნიქოზის სამგზავრო მატარებელში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მატარებლის გამცილებელ პოლიციელს, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში მცხოვრებ, 29 წლის გამიდ აივაზოვს. აივაზოვი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და მოუწოდებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენ. საქმეს იძიებს გორის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 20 წლის ზაზა კალანდაძე და ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურყვეთში მცხოვრები, 20 წლის ირაკლი აფხაზავა, რომლებმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, ინგა ხაბაზს სახლიდან მოპარეს ხელჩანთა პირადი ნივთებით და ფულით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში მცხოვრები, გიორგი იჩუკაიძე, რომლის სახლიდან ამოიღეს ხელყუმბარა „ფ-1" და „აკმ"-ს 12 ვაზნა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მეტროსადგურ „პოლიტექნიკურის" ვესტიბიულში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 20 წლის გიორგი ენუქიძე და 21 წლის დავით გვარამაძე, რომლებმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, 42 წლის მარინა პავლიაშვილს გასტაცეს ოქროს ყელსაბამი. **მედიანიუსი**

აღმოაჩინეს დედა-შვილის ცხედრები

სამართალდამცველებმა თბილისში, დოლიძის ქუჩის მიმდებარე ქუჩაზე - პანკისის ქუჩის N20-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში, დედა-შვილ ხურციძეების ცხედრები აღმოაჩინეს, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებათ.

პანკისის ქუჩის N20-ში, შუადღისას, დაახლოებით დღის სამის ნახევარზე, ტრაგედია დატრიალდა. ოჯახში გასროლა მოხდა გადაჭრილი თოფიდან, რომლის შედეგად დაღუპულია დედა-შვილი – 45 წლის დალი ხურციძე და მისი ვაჟი 22 წლის გიორგი ხურციძე.

წინასწარი ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა კონფლიქტს დედა-შვილს შორის, თუმცა სამართალდამცველები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, რომელმა ისროლა პირველად, დედამ თუ შვილმა. შემთხვევის ადგილზე გუშინ თითქმის მთელი დღის მანძილზე მუშაობდნენ ექსპერტები. უკვე დაიწყო საქმის გამოძიება. პოლიციის მთავარ სამმართველოში დასაკითხად გადაიყვანეს ოჯახის მამა.

ვაკე-საბურთალოს პოლიციის ინფორმაციით, დალი ხურციძეს, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა, რის შედეგადაც ადგილზე დაიღუპა მისი შვილი 22 წლის გიორგი ხურციძე. ამის შემდეგ დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ დედა-შვილი სახლში მარტო იმყოფებოდნენ. გარდაცვლილები ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალიდან არიან და თბილისში, პანკისის ქუჩაზე მდებარე სახლში ქირით ცხოვრობდნენ.

ინტერპრესნიუსი

დააკავეს ნავთობის ქურდები

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში გამავალ ნავთობმაგისტრალზე კუსტარულად მიერთებული მილით ნედლი ნავთობის ქურდობის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის ექვსი წევრი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის სოსო თოფურიძის განცხადებით, აღნიშნულ ჯგუფს ამჟამად მიმალვაში მყოფი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ყოროლისთავის გამგებელი რესან ფალავა და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი დავით ბაკურაძე ხელმძღვანელობდნენ. გამოძიებით დადგინდა, რომ დამნაშავეთა ჯგუფი ნავთობმაგისტრალიდან კუსტარულად მიერთებული მილით ნედლი ნავთობის ქურდობას, მის რეზერვუარში შენახვას, გადაქაჩვას, ტრანსპორტირებას, კუსტარული წესით დამუშავებას და მზა პროდუქციის რეალიზაციას ახდენდა.

ჩხრეკის შედეგად, დამნაშავეთა სახლების ეზოდან ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება (42 კგ) ტროტილი, დიდი რაოდენობის საბრძოლო ტყვია-წამალი, ნავთობის მიტაცებისთვის საჭირო დანადგარები, ბენზინმზიდი სატვირთო ავტომანქანები.

ღონისძიების შედეგად დალუქულია კუსტარული ნავთობის სახდელი ორი საამქრო.

ამჟამად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს მიმალვაში მყოფი დამნაშავეების დასაკავებლად. მათზე ძებნაა გამოცხადებული.

ინტერპრესნიუსი

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დაფინანსოს ქ. ქუთაისში, ჯავახიშვილის ქ. N85-ში მდებარე ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრში "ქუთაისის პერინატალური ცენტრისათვის" განკუთვნილი ფართის ნაწილის (დაახლოებით - 184082) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხელშეკრულება N2.2.1/NCB/CW/015.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;

- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2005 წლის 19 ოქტომბრიდან,*** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) ***10-დან 18 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 38 82 10, 33-19-39, 38-82-20

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს ***100 (ასი)*** ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11

ბანკის კოდი: 220101757

ანგარიშის ნომერი: 23408000189

ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია ***20 000*** (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ***2005 წლის 16 ნოემბერს 12 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 33-19-39, 38-82-20

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***12:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9) აცხადებს ღია ტენდერს ქ. ბათუმში რუსთაველის ქ. N6 მდებარე სამთავრობო შენობის ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 ნოემბრიდან 2005 წლის 4 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ან შესაბამისად სასამართლო ორგანოებიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

გ) ცნობას შს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამოწმებული აუდიტის მიერ);

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 5 ნოემბერს წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2005 წლის 6 ნოემბრის 17 საათამდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ვახტანგ ვანაძე, ტ. (888222) 7-20-25, მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

სატენდერო კომისია

OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს ასფალტის დაგებაზე

ფართი - 1290 კვადარტული მეტრი, ასფალტის სისქე - 4-5 სანტიმეტრი,

ამჟამად არსებული საფარი - ბეტონი

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა გაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

1. კომპანიის მოკლე აღწერილობა;
2. კომერციული შემოთავაზება

ინგლისურ ენაზე, მისამართზე, Kris.Czekalowski@osce.org

ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა:
2005 წლის 26 ოქტომბერი, 15:00.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ადმინისტრაცია გატყობინებთ, რომ გაზეთ "24 საათი"-ს 2005 წლის 18 ოქტომბრის ნომერში შეცდომით იქნა გამოქვეყნებული ინფორმაცია ნავსადგურის სასამართლო დავების შესახებ. უნდა გამოქვეყნებულიყო ბრძანება "წყლის მიწოდების ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესახებ", კერძოდ:

BSP შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყლის მიწოდების ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესახებ

ნავსადგურის აკვატორიაში შემოსულ გემებზე წყლის მიწოდების დროს ანგარიშსწორების მოწესრიგებისა და ახალი ადგილობრივი ტარიფების დაწესების მიზნით

ვბრძანებ:

1. ბათუმის ნავსადგურის აკვატორიაში შემოსულ გემებზე წყლის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდეს შემდეგი ტარიფით:

- წყლის ბარჟა "ჭოროხის" ბუქსირება - 280 აშშ დოლარი და ყოველ ტონა წყალზე - 3 აშშ დოლარი.

2. გარე რეიდზე წყლის მიწოდებისას გამოყენებულ იქნას გაორმაგებული ტარიფები.

3. ნავსადგურის ბუღალტერიამ მიიღოს მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნულ ტარიფებში გათვალისწინებულია დღგ - 18%.

4. გაუქმდეს ნავსადგურის 02.09.1997 წლის № 1/4-235 ა ბრძანება.

5. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" ადმინისტრაცია

Quality system ISO 9001 Certified by Bureau Veritas

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

0185 თბილისი, ბარათაშვილის 2 ტელ./ფაქსი: 993704 2, BARATASHVILI ST., 0185 TBILISI REPUBLIC OF GEORGIA TEL/FAX(+9932) 993704

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", საქართველოს ელექტროენერგიის 500 და 220-კილოვოლტიანი გადაცემის ქსელის სახელმწიფო ოპერატორი აცხადებს ვაკანსიას კვალიფიცირებული პერსონალისათვის მენეჯმენტური პროფილის შემდეგ პოზიციაზე;

გადაცემის აღმასრულებელი მენეჯერი
ფუნქციები:

სსე-ს გადაცემის ქსელის სტრატეგიული მართვა მისი ბიზნეს მიზნების მისაღწევად.

- გადაცემის სექტორისათვის ტექნოლოგიური მართვის უზრუნველყოფა გადაცემის ტექნოლოგიის პოლიტიკის, სტრატეგიისა და გეგმების ფორმულირებისა და განხორციელების გათვალისწინებით.

გადაცემის სექტორისათვის ფინანსური და კომერციული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

- პასუხისმგებლობა ქსელის ხარისხსა და გარანტიაზე.

რესურსების მართვა.

- შესაბამის შიდა და გარე აქციონერებთან კომუნიკაციის მაღალი დონე.

მინიმალური მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ინჟინერიაში
სასურველია მენეჯმენტის კვალიფიკაცია
- გადაცემის სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება

უნარ-ჩვევები:

- შესაბამისი კანონმდებლობის ბრწყინვალე ცოდნა.
გადაცემის სფეროს ცოდნა.
- ფინანსური და საერთო მენეჯმენტის ცოდნა.

მაღალვოლტიანი და მეორადი კომუტაციის სადგურების ექსპლუატაცია და მართვა.

- კომუნიკაციის ბრწყინვალე უნარ-ჩვევები.

განაცხადები, რომლებსაც თან ერთვის შესაბამისი რეზუმე, გაუგზავნეთ ქალბატონ გულსუნდა ტოლიაშვილს ფოსტით მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 2, ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: gulsunda.toliashvili@gse.com.ge. განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 2 ნოემბერი.

თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბიპი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს

"ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი გამომდინარე;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი

თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა ხუთშაბათი, 2005 წლის 20 ოქტომბერი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

bp btc SCP South Caucasus Pipeline

კ ე რ ძ ო ს ა ე რ თ ო რ ა დ ი ო მ ა უ წ ყ ე ბ ლ ო ბ ა ზ ე ლ ი ც ე ნ ზ ი ი ს მ ი ს ა ღ ე ბ ა დ კ ო ნ კ უ რ ს ი ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით შპს "საქართველო XXI საუკუნე"-მ , შპს "ჰერეთმა" და შპს ტელეკომპანია "თანამგზავრმა" კახეთის რეგიონში საეთერო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, კომისია კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას გასცემს კონკურსის საფუძველზე.

კახეთის რეგიონში დედოფლისწყაროს, ყვარელისა და ლაგოდეხის რაიონების FM რადიომაუწყებლობით მოცვის მიზნით სიხშირული რესურსის ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული იქნა:

ა) სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის საჭირო სიხშირული ზოლის სიგანე;

ბ) სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობა;

გ) გადამცემი სადგურის გამოსასვლელი სიმძლავრე;

დ) დედოფლისწყაროს, ყვარელისა და ლაგოდეხის რაიონების მოსახლეობის რაოდენობა და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სიხშირული ზოლის სიგანე განისაზღვრა ლარებში, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები კოეფიციენტების სახით.

1) სიხშირული ზოლის სიგანე შეფასებული იქნა 4 500 ლარად.

2) სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობის კოეფიციენტი განისაზღვრა 1.8 ოდენობით.

3) გადამცემი სადგურის გამოსასვლელი სიმძლავრის კოეფიციენტი დიფერენცირებული იქნა მისი სიმძლავრის მიხედვით და შეადგინა დედოფლისწყაროსათვის 0.85, ხოლო ყვარელისა და ლაგოდეხისათვის 1.0.

4) ტერიტორიალური კოეფიციენტები ასევე დიფერენცირებულია და განისაზღვრა დედოფლისწყაროსათვის 0.65, ხოლო ყვარელისა და ლაგოდეხისათვის 0.25.

აქედან გამომდინარე, სიხშირული რესურსის ღირებულებამ დედოფლისწაროსთვის შეადგინა 4 475.25 ლარი, ყვარელისა და ლაგოდეხისათვის 2025 ლარი თითოეულისათვის. შესაბამისად, სულ სალიცენზიო გადასახდელი შეადგენს 8 525.25 ლარს.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჯ" ქვეპუნქტის, 38-ე და 43-ე მუხლების თანახმად, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გამოცხადდეს კონკურსი კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) სამოქმედო ზონა -თელავის, ახმეტის, ყვარელის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონები;

ბ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

ქალაქი	რეგიონი	ანტენის განთავსების ადგილი	გეოგ. კოორდი ნატები	ანტ. სიმაღლე მიწის ზედ. ჰ	სიხშირე მგჰც FM	სიმძ კვტ	გასხივების დიაგრამა
დედოფლის წყარო	კახეთი	დედოფლისწყაროს ანძა	46E08; 41N27	50	107.7	0.25	წრიული
ყვარელი	კახეთი	სანავარდოს ანძა	45E46; 41N58	50	103.8	0.5	წრიული
ლაგოდეხი	კახეთი	ლაგოდეხის ანძა	46E10; 41N49	30	101.4	0.5	წრიული

შენიშვნა: გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

გ) სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა განისაზღვროს 8.525,25 (რვა ათას ხუთას ოცდახუთი ლარი და 25 თეთრი) ლარით;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2006 წლის 20 იანვრის 14:00 საათი;

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 10 ნოემბრის 17:00 საათამდე;

ვ) მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2005 წლის 18 ნოემბრის 16:00 საათი;

ზ) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 12 საათით;

თ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადად განისაზღვროს 1 წელი ლიცენზიის გაცემიდან;

2. რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) იურიდიული პირისათვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს;

ბ) მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

გ) მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;

დ) მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი;

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) განსახორციელებელი საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ე) დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე;

ვ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ზ) სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი";

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-13 პუნქტის შესაბამისად.

4. რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია კერძო სამართლის არაკომერციულ ან საჯარო სამართლის იურიდიული პირს;

5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს ან თანამშრომელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირს;

გ) პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს;

6. მოსამზადებელ სხდომაზე ხდება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებების განხილვა და მათზე დართული დალუქული დოკუმენტაციის ლიცენზიის მაძიებელთა თანდასწრებით გახსნა. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საჯარო გაცნობისათვის. ლიცენზიის მაძიებლის მიერ დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისია აფრთხილებს ლიცენზიის მაძიებელს და აძლევს მას დამატებით არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღეს დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. იკრძალება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილის სახით მიწოდება კომისიისთვის.

7. დოკუმენტაციის არასრულყოფილების, აგრეთვე პროგრამირებისა და საინვესტიციო ვალდებულების მინიმალური მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვებისა და ლიცენზიის მაძიებლისათვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ.

8. კომისია კონკურსს ატარებს საჯარო სხდომაზე.

9.კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება პროგრამირების ასპექტის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას მხედველობაში მიიღება:

ა) შემოთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნება და აუდიტორიის ინტერესებთან შესაბამისობა;

ბ) მომსახურების ზონის აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი სხვა მაუწყებელთა პროგრამების არსებობა.

10. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მაძიებელთა თანაბარი შეფასების შემთხვევაში გამარჯვებულად ცხადდება კონკურსში მონაწილე ის ლიცენზიის მაძიებელი, რომელიც ადრე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა მაუწყებლობას საკონკურსოდ გამოტანილი სიხშირეების გამოყენებით.

11. თუ კონკურსში მონაწილეობს 1 ლიცენზიის მაძიებელი, იგი გამარჯვებულად ცხადდება მის მიერ სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დადასტურების შემთხვევაში.

12. კომისია იღებს და აქვეყნებს დეტალურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში; სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

13. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის ანგარიშზე თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში, თანაბარწილად, ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

14. კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება.

15.კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

16. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა და მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სრულად დაფარვა ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის ვადაში;

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში რადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ, კვირაში ერთხელ, კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე;

19. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც რადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები;

20. კომისია უარს ეტყვის ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე, თუ ლიცენზიის მაძიებელმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა. ლიცენზიის გაცემაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. ლიცენზიის გაცემაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში;

21. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ? 1 ა) ერთი თვის ვადაში;

22. დაევალოს კომისიის პრეს-მდივანს (ს.ბრიტანჩუკს) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

23. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე დ. ქიტოშვილი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ღია ტენდერს გენერალური პროკურატურის შენობების III და IV სართულების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. სამუშაოების ჩატარების სასურველი ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კალენდარული თვის განმავლობაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 ნოემბრიდან 2005 წლის 4 ნოემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 221 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)

დ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ვ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სახელმწიფო ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არქონის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან);

ბ) სამშენებლო სამუშაოების წარმოების ლიცენზია (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით);

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამოწმებული აუდიტის მიერ);

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 7 ნოემბერს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

8. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 9 ნოემბრიდან 10 ნოემბრის 17 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს გენერალური პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიში N000141408). გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 221 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტი).

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება შესაბამისი ლოტის ღირებულების მითითებით.

10. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: რუსუდან კაპანაძე ტ. 877-49-48-97, 99-04-60. მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 221 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი).

სატენდერო კომისია

განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. შპს "ბერდუჯი-2004"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების ძებნა-ძიების პროექტი.
2. შპს "სამშენებლო მასალები"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, მეორადი კვარციტების შესწავლა-მოპოვება, გადამუშავების პროექტი.
3. შპს "ენგი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე, ქვიშა-ხრეშის შესწავლა-დამუშავების პროექტი.
4. შპს "ქართული ცემენტი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე, კირქვის საბადოს მოპოვება - დამუშავების პროექტი
5. შპს "კონსტანტა"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ქვის დამამუშავებელი საამქროს გზშ ანგარიში
6. "Bechtel national Inc" - ის მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილი ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის მშენებლობის გზშ ანგარიში

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 20 ოქტომბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 20 ოქტომბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგის გაზსადენის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ანაგის განვითარების სათემო კავშირთან "ანაგა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ანაგა" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სიღნაღის რაიონი,

სოფ. ანაგის, გამგეობის შენობა

საკონტაქტო პირი გივი ინდაშვილი -სათემო კავშირი "ანაგა"-ს თავჯდომარე

2005 წლის 20 ოქტომბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სიღნაღის რაიონი,

სოფ. ანაგის, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირი გივი ინდაშვილი -სათემო კავშირი "ანაგა"-ს თავჯდომარე 2005 წლის 21 ნოემბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03

სასკოლო რძის დღე საქართველოში

2004 წლის 1 ივნისს "სკანაგრი პროექტმა საქართველოში" პირველად აღნიშნა რძის საერთაშორისო დღე. ახლაც პროექტმა საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას. ეს გახლავთ სასკოლო რძის დღე (School milk day) რომელსაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა 29 სექტემბერს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებით ეხმაურება. ყველასთვის ცნობილია რძის სასარგებლო თვისებების შესახებ, განსაკუთრებით კი პატარა და მოზარდი თაობისათვის. ამიტომაც ბევრი ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლის პერიოდში მოსწავლეთა რძის პროდუქტებით უზრუნველყოფას. სასკოლო რძის პროექტი ხორციელდება ხშირ შემთხვევაში უშუალოდ სახელმწიფოს ჩარევით (კოორდინირება, გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრა) და კერძო სექტორის (რძის მწარმოებლები, ფერმერები, დისტრიბუტორები) აქტიური მონაწილეობით.

აუცილებელი ვიტამინებითა და მინერალებით ბავშვების ადრეული ასაკიდან უზრუნველყოფა პრიორიტეტული უნდა იყოს საქართველოსთვისაც. "სკანაგრი პროექტმა" დიდი სამუშაო გასწია ამ მიმართულებით, აწვდიდა რა ქართველ მომხმარებელს აუცილებელ ინფორმაციას ხარისხიანი რძის დადებითი თვისებების შესახებ.

"სასკოლო რძის" დღის აღსანიშნავად პროექტმა შეარჩია დიღომში მდებარე, ნომერი პირველი ბავშთა სკოლა ინტერნატი და რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანია "სოფლის ნობათთან" ერთად პირველად აღნიშნა ეს დღე ჩვენს ქვეყანაში. ბავშვებს გადაეცათ პროექტის ლოგოტიპიანი მაისურები და კეპები ხოლო "სოფლის ნობათმა" ისინი რძის პროდუქტებით მოამარაგა. რა თქმა უნდა, ეს მცირე მასშტაბიანი აქცია იყო, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი გახლდათ პრეცედენტის შექმნა. იმისთვის რომ ქვეყანაში ამოქმედდეს თვით სკოლის რძის პროექტი, აუცილებელია სახელმწიფო და კერძო სექტორმა ერთიანი და მრავალწლიანი სტრატეგია შეიმუშაონ.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფონზე აუცილებლად მიგვაჩნია ბავშვებისათვის ადეკვატური კვებითი რაციონის შექმნა და მიწოდება, რძე კი ამ რაციონის უმთავრესი კომპონენტი უნდა გახდეს, რადგანაც არც ერთი სხვა პროდუქტი არ შეიცავს ორგანიზმისათვის აუცილებელ იმდენ ვიტამინსა და მინერალს, როგორც რძე.

"სკანაგრი პროექტი საქართველოში"
ტელ: 23 29 26
ბარნოვის ქუჩა 56
www.scanagri.ge

„სანახაობრივი" ქრონიკა ცისფერ ეკრანზე

ნინია კაკაბაძე

შესავალი. ხალხს **ეს** მოსწონს, ხალხი **ამის** ნახვას ითხოვს. ჩვენ არ მოგვწონს, მაგრამ ვასრულებთ საზოგადოების დაკვეთას. ამიტომ ვაწყობთ **ამ** კონცერტებს, **ამ** სანახაობებს, ვაჩვენებთ **ამ** ფილმებს, ვეკითხებით აზრს **ამ** ადამიანებს და ა.შ. ვფიქრობ, **ამ** მომღერლების, ფილმების, რესპოდენტების დასახელებას აუცილებლობა არ მოითხოვს, რადგან ისედაც ნათელია, ვის ვუსმენთ და ვუყურებთ ყველაზე ხშირად ტელეეთერში. თუ "ტელევიზიონშიკების" რჩეულების მიმართ ოდნავ ირონიას ან უმაყოფილებას გამოვხატავთ, მაშინვე მოგვიგებენ: - ხალხი ამას ითხოვს. ამიტომ ექსპერიმენტებს თავს არიდებენ, თუმცა ავიწყდებათ, რომ ხალხს **ისინი** სწორედ მათ შეაყვარეს; პოლიტიკოსები, მომღერლები, საზოგადო მოღვაწეები და ამგვარი პოპულარული სახეები, მუსიკა თუ კინო ყველგან არსებობს და არც საქართველოა გამონაკლისი. განსხვავება მხოლოდ ერთია: რამდენად დიდიც არის განსხვავება ჩვენსა და სხვა ქვეყნებს შორის სოციალურად, პილიტიკურად თუ კულტურულად, ასევე დიდია განსხვავება ჩვენსა და მათ პოპულარულ სახეებს, ფეისებს შორის. ეს, რასაკვირველია, პრობლემაა, მაგრამ არა ისეთი დიდი, როგორიც ჩვენი სტატიის მთავარი თემა.

ერთი სურათი. მაგალითად, ერთი ბედნიერი ოჯახი საღამოს, მთელი შემადგენლობით, ტელევიზორთან ზის და დიდი სიამოვნებით ადევნებს თვალს კრიმინალურ ქრონიკას; ოჯახის უფროსი ტახტზე კოტრიალობს, დიასახლისი ხან ახლად გალამაზებულ ფეხის ფრჩხილებს დაჰყურებს, ხან ტელეეკრანს შესცქერის; თავს დაესხნენ, დაჭრეს, გაუპატიურეს, მოკლეს, სახლი გაუქურდეს... დიასახლისი შეწუხებული გამომეტყველებით, მაგრამ სიამოვნებით ადევნებს თვალს ახალ კრიმინალურ ამბებს და ფარულად ხარობს, რომ მისი ძვირფასი ნივთები სახლიდან ოთახში, საიდუმლო ზარდახშაში სათუთად ინახება. ფარულად იმითაც ხარობს, რომ მისი ოჯახის ყველა წევრი ხელშეუხებელია.

კმაყოფილ მაყურებელთა მეორე ტიპი ამგვარია. ცოტა ხნის წინ მის ლოყებლაყუღაჟა ბიჭს ქუჩაში ქურთუკი გახადეს და მობილური ტელეფონიც წაართვეს. შესაძლებელია შემთხვევა კიდევ უფრო მძიმე იყო. სამწუხაროდ, კმაყოფილ მაყურებლთა ერთი ნაწილი კრიმინალური ისტორიების ყურებით, სადაც ხშირად ტრაგიკული მოვლენებია აღწერილი, შეშფოთებული გამომეტყველებით იღებს სიამოვნებას. ამგვარი გადაცემები ტიპური ობივატელის საუკეთესო გასართობია.

სხვა რას შეიძლება დავაბრალოთ ის, რომ ქართულ ტელესივრცეში გადაცემა ვიდეოპატრული ერთერთი ლიდერია. თუმცა ამ გადაცემის არსებობას მრავალი მიზეზი განაპირობებს, მწარმოებელს და მომხმარებელს თავისი არგუმენტები აქვს.

პატრული. ამ გადაცემის მწარმოებელი პირველ რიგში, ბუნებრივია, ხელისუფლებაა, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო. მიზეზი მარტივია: ვაჩვენოთ მაყურებელს ჩვენი ეფექტური მუშაობა, გავუკეთოთ რეკლამა თანამედროვე პოლიციელებს, კიდევ უფრო გავაღრმაოთ ხალხის ნდობა პატრულის მიმართ და ა.შ. თუმცა, ისევე როგორც შევარდნაძის ხანგრძლივ ეპოქაში პირველ არხზე არსებულ გადაცემაში არ გვაჩვენებდნენ, წვრილი თუ მსხვილი დანაშავეები სასჯელს იხდიდნენ თუ ქრთამის წყალობით ისევ ქუჩაში დარბოდნენ, არც დღეს გვაქვს ინფორმაცია ამის შესახებ. შეძლებულთათვის ყველაზე საინტერესო სწორედ ეს არის: ქრთამის ხარჯზე დღესაც შეიძლება თუ არა თავისუფლების მოპოვება? ველოსიპედის გამტაცებლები რომ ციხეში სხედან, ეს ყველამ იცის. ამიტომ მაყურებელი მხოლოდ სანახაობად ქცეულ კრიმინალურ ქრონიკას უყურებს სხვადასხვა სათაურით: "ყაჩაღობა კუპატაძის ქუჩაზე", "თავდასხმა ახმეტელის კინოსთან", "თვითმკვლელობა დიდ დიღომში" და ა.შ.

თუ წარსულ დროში ამ გადაცემის გაშვების პრივილეგიით სარგებლობდა პირველი არხი, როგორც სახელმწიფო ტელევიზია, დღეს ამ რეიტინგულ გადაცემაზე ექსკლუზივს კერძო ტელეკომპანია ფლობს. გადაცემას მაყურებელი ჰყავს. მისი მომზადება, განსაკუთრებით დღეს, უკვე არავითარ სირთულეს და ზედმეტ ხარჯებს არ გულისხმობს, ამიტომ მოსახლეობას ყოველდღიურად ვამარაგებთ ახალ-ახალი კრიმინალური სერიებით. სახელმწიფო უკვეთავს მაკულატურას და საზოგადოება სიამოვნებით იღებს მას.

პატარა მაგალითი უცხო ქვეყნიდან.

საინფორმაციო და რეალურ ფაქტებზე აგებული სხვა პროგრამების მომზადებისას აუცილებელია შემდეგი ზოგადი პრინციპების გათვალისწინება:

- გარდაცვლილებს სათანადო პატივისცემით უნდა მოვექცეთ და თავი ავარიდოთ ცხედრის ჩვენებას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

- თავი ავარიდოთ სახეებისა და სერიოზული ტრავმების ახლო ხედით ჩვენებას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

- არ არის მიზანშეწონილი უბედური შემთხვევის ან ტერორისტული აქტის შედეგად დაღვრილ სისხლზე კონცენტრირება.

- ძალადობის ფაქტების ამსახველი მასალის არსებობა არ ნიშნავს ეთერით მისი გადაცემის აუცილებლობას.

- ადამიანის სიცოცხლის ფასი და გასაჭირი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ისე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

ეს პატარა ფრაგმენტი სახელმძღვანელოდან, BBC-ში დამწყები პროდიუსერებისთვის არის. კარგად გავიხსენოთ ქართულ ტელეარხებზე, გნებავთ, სპეციფიკურ გადაცემებში, გნებავთ, ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებში რა სიხშირით ვუყურებთ სისხლის გუბეებს, ცხედრებს, სერიოზულ ტრავმებს ახლო ხედით, დაზარალებულთა სახეებს და ა.შ. ერთი სიტყვით, თითქოს ამ სახელმძღვანელოს ავტორმა ეს პუნქტები ქართული ტელევიზიით მიღებული შთაბეჭდილებით დაწერა.

სამწუხაროდ, ქართული ტელევიზიები არ იცავენ ეთიკის ნორმებს და ნებისმიერი უბედური შემთხვევის ადგილიდან ყველაზე მძიმე და დამთრგუნველ კადრებს გვთავაზობენ - თავად ისტორიას სიმძიმე აკლია და რეპორტაჟის ავტორები სურათის კიდევ უფრო გამუქებას ცდილობენ.

ასეთ შემთხვევაში თითქოს ფარული ხელშეკრულებაა გაფორმებული მაყურებელსა და ჟურნალისტებს, ოპერატორებსა თუ პროდიუსერებს შორის. ამის დასამტკიცებლად კიდევ ერთი მაგალითი არსებობს. ზაფხულში, პოლიტიკურად მკვდარი სეზონის დროს, როდესაც ერთსაათიანი საინფორმაციო გამოშვების პოლიტიკური სიახლეებით შევსება ვერ ხერხდება, დაკვირვებული მაყურებელი შეამჩნევს, რომ ერთ საინფორმაციო გამოშვებაში რამდენიმე რეპორტაჟია, რომელიც საშინელ ავტოკატასტროფას, მკვლელობისა თუ ყაჩაღობის ფაქტებს ასახავს. ზაფხულში გახარებული პორდიუსერი ჟურნალისტს ატყობინებს, რომ, მაგალითად, კახეთის გზატკეცილზე შესანიშნავი ავარიაა და სასწრაფოდ იქ გამგზავრებას სთხოვს. ჟურნალისტიც სიამოვნებით მიდის და აქცენტს სწორედ სისხლის გუბეებზე, მიცვალებულსა და დაზარალებულზე აკეთებს. მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ამ სანახაობას მაყურებელი სიამოვნებით იღებს, ამიტომ მხოლოდ რეპორტაჟის ავტორების დადანაშაულება სამართლიანი არ იქნება. თუმცა, ვერც იმას გავექცევით, რომ დღევანდელი მაყურებლის გემოვნებას თუ მოთხოვნებს ყველაზე მეტად სწორედ მედია განსაზღვრავს.

არ მინდა სტატიამ იმგვარი პათოსი შეიძინოს, თითქოს ჩვენ მხოლოდ ლამაზის და ნატიფის ჩვენებას ვითხოვდეთ და სიუჟეტების შინაარსი მხოლოდ პოზიტივზე უნდა იყოს აგებული. არავითარ შემთხვევაში. მედიის უმთავრესი ფუნქცია სინამდვილის ჩვენებაა. მხოლოდ სინამდვილე ელემენტარული ეთიკის ნორმების დაცვით უნდა იყოს წარმოდგენილი, სადაც, პირველ ყოვლისა, თითოეული ადამიანის უფლება იქნება დაცული.

კანონი. სიუჟეტებში, რომლებშიც კრიმინალური ისტორიაა ასახული, არა მხოლოდ ეთიკის ნორმების დარღვევასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში კანონიც ირღვევა. **ეჭვმიტანილი პირი არ უნდა გამოცხადდეს ბრალეულად მანამ, ვიდრე არ გამოცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს გამოცხადებამდე პირი უდანაშაულოდ ითვლება.** ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მედიის წარმომადგენლებს ვერ დავადანაშაულებთ, რადგან ხშირად შემთხვევის ადგილიდან, იქვე, ახლომახლო, თავად შინაგან საქმეთა მინისტრი ბლიც-ბრიფინგს მართავს და საკუთარი სამსახურის წარმატებული მუშაობისა და დამნაშავეების შესახებ მოსახლეობას ინფორმაციას აწვდის. ამიტომ უსამართლობა იქნება კანონის დაცვა პირველ რიგში ჟურნალისტებს მოვთხოვოთ, რადგან კანონის პირველი დამრღვევი თავად სამართალდამცავია.

ამიტომ, როდესაც გადაცემა "პატრულში", გნებავთ რიგითი საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, პოლიციის მანქანაში მყოფ დაკავებულს კამერით ვუძვრებით და მისი სახის დაფიქსირებას ვცდილობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ის მხოლოდ ეჭვმიტანილია და მისი დამნაშავედ გამოცხადების უფლება არ გვაქვს. გარდა ეჭვმიტანილისა, დაცული უნდა იყოს მისი ახლობლების უფლებებიც. მაგალითად, ისე არ უნდა გავიკიდოთ რესპონდენტს, როგორც ვოვა არუთინიანის დედას მივსდევდით ამ რამდენიმე ხნის წინ.

სამწუხაროდ, ისეთ მოუწესრიგებელ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ნდობა არც სამართალდამცავების და არც სასამართლოს მიმართ, სადაც კანონს, პირველ რიგში, სწორედ კანონშემქმნელი არღვევს, მედია მათ მიერ შეთავაზებულ წესებს ეყრდნობა, მაყურებელი კი ამ რეაქტიული ჯაჭვის მსხვერპლი ხდება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია კანონის დამცველი მედია გახდეს და როგორც ხალხს, ისე ხელისუფლებას კანონმორჩილება ასწავლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე დამნაშავედ არ გამოაცხადოს თუნდაც სამართალდამცავის მიერ აღიარებული დამნაშავე.

პრობლემა, რომელსაც კრიმინალური ისტორიების ყველაზე ნატურალისტური ფორმით ჩვენება და კანონის დარღვევა ჰქვია, არ მოგვარდება, ვიდრე არ იქნება ამის ნება მედიის მხრიდან. მაგალითად, ახლად ჩამოყალიბებული მედია-საბჭოს კომპეტენციაა, თუნდაც არაკანონიერად გამოაცხადოს სატელევიზიო კრიმინალური სერიების ამგვარი სახე. მედია-საბჭო, რომელიც მისი არსებობის მანძილზე ერთხელ იკრიბება იმისთვის, რომ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს შალვა რამაშვილის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით, რაც სრულიად მისასალმებელია, არ შეიძლება უყურადღებოდ ტოვებდეს იმ ფაქტს, რომ რიგითი ადამიანების უფლებები ჩვენს თვალწინ ყოველდღიურად ირღვევა.

რაც შეეხება მაყურებელს. შემთხვევითი არ არის, რომ, მაგალითად, კინოხელოვნებაში ყველაზე დიდი წარმატებით თრილერის ან "ბოვიკის" ჟანრი სარგებლობს. გასულ საუკუნეებში, როდესაც ტელევიზია არ არსებობდა, ხალხი "ლაივში" ადევნებდა თვალს სასჯელის აღსრულების პროცესს და ფარულად ტკბებოდა სხვისი სიკვდილით. ერთი სიტყვით, სამწუხაროდ, ამგვარ სანახაობას ადამიანი ითხოვს. ამიტომ ის დღეს ხან "პატრულს" უყურებს, ხან თრილერს და ხან კიდევ უცხო ადამიანების დაკრძალვებს ესწრება. გამოსავალი ერთია: მედიამ უარი უნდა თქვას ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ წესებზე, უარი თქვას სადისტურად განწყობილი მოსახლეობის მოთხოვნებზე და შექმნას იმის პრეცედენტი, რომ ვიღაც ადამიანის უფლებებს იცავს და პირველ ნაბიჯს დგამს ცივილიზებული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისკენ.

ახალი ქრებული ანარქისტული ვარდებით

ვარდები მიხაკებად არ იქცეს!

სოფო კილასონია

გუშინ საღამოს ზურა რთველიაშვილმა და მისმა მეგობრებმა, არცთუ ისე ავანგარდული აზრების მომგვრელი შენობის წინ, სურათების ეროვნული - ცისფერი გალერეის წინ, ანარქისტული დროშები აფრიალეს და ავანგარდის სიმბოლოებით აქცია მოაწყვეს. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ვარდები მიხაკებად არ იქცეს, ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ვარდის ტკბილ სურნელს თავი დავაღწიოთ, ეიფორია გაქრეს, რომ ამ მშვენიერი ვარდების ჭამა ვიღაცვიღაცებმა არ დაიწყონ.

მას შემდეგ, რაც შავი, ვარსკვლავიანი დროშები თანამედროვე ხელოვნების ცენტრში შეაფრიალეს, მას შემდეგ, რაც ზურა რთველიაშვილმა ვარდების სურნელით გაჯერებული სივრცე გააღო და გაანიავა, საზოგადოებამ გალერეის ცენტრში შემწვარ-შეზავებული ღორის თავი აღმოაჩინა, სწორედ იმ ღორისა, რომელსაც თურმე ჩვენი ნალოლიავებელი ვარდები გადაეყლაპა – სიმბოლიკა და ალეგორია, ვფიქრობ, გასაგებია.

ზურა რთველიაშვილი: "ეს არის ჩემი მორიგი წიგნის პრეზენტაცია და პერფორმანსი "ავანგარდის სიმბოლო". ესაა სახე-სიმბოლო ადამიანისა, რომელმაც დაკარგა თავი, ამ სიმბოლომ დაიწყო სხვა სიმბოლოების შთანთქმა, ღორმა დაიწყო ვარდების ჭამა, ვარდები შეიძლება მიხაკებად იქცეს. ეს კი ძალიან არ გვინდა. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ვარდების ეიფორიისგან."

ამ ყველაფრის პარალელურად ზურა რთველიაშვილის ყველაზე მასშტაბური პოეტური კრებულის "ანარქის" პრეზენტაცია შედგა. მანამდე მისი არაერთი პატარა კრებული გამოცემულა, ამჯერად პოეტმა ყოველი მათგანის ერთ წიგნში თავმოყრა გადაწყვიტა. "ანარქი" რთველიაშვილის სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრებს წარმოაჩენს, თუმცა იმ საერთოსაც კარგად გვიჩვენებს, რითიც ხასიათდება ეს ავტორი. ახალი წიგნის გამომცემელი "სიესტა" გახლავთ, მისი წარმომადგენელი ქეთევან კილურაძე თვლის, რომ ზურა რთველიაშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაა ლიტარატურაში და სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ გამომცემლობამ მასთან სიამოვნებით ითანამშრომლა. რაც შეეხება წიგნის დიზაინს. იგი გურამ წიბახაშვილის ფოტოებითაა გაფორმებული. პოეტმა და ფოტო-ხელოვანმა დაახლოებით იგივე ამბავი გაათამაშეს, რაც თავის დროზე მაიაკოვსკიმ და როჩენკომ. რთველიაშვილის ფოტოები - 20-იანი წლების პორტრეტების მსგავსია.

ზურა რთველიაშვილი: წიგნის გაფორმებაზე თუ ვისაუბრებთ, გეტყვით, რომ ეს არის ამ 20-იანი წლების ჩვენს დროში გადმოტანა. ნიშნად იმისა, რომ ეპოქებში ბევრი რამ მეორდება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სხვა ინტონაციითა და სხვა ინტერესებით ხორციელდებოდეს. მაგრამ პოეზია და ხელოვნება, ისეთივე საინტერესო და აქტუალური შეიძლება იყოს დღესაც, როგორც 20-იან წლებში. თუნდაც სხვა მიზნები ჰქონდეთ მათ გადასაწყვეტი.

განცხადება

- 2005 წლის 8 აპრილს გენერალური პროკურატურის მიერ სხვადასხვა სახის საექსპერტო მომსახურებაზე გამოცხადებული ღია ორეტაპიანი ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

- 2005 წლის 22 მარტს სამსახურისათვის საჭირო ქაღალდის შესყიდვაზე ჩატარებულ ღია სამლოტიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ. გიორგი კანდელაკი "ვესტა".

- 2005 წლის 22 მარტს სამსახურისათვის საჭირო საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ათლოტიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა: შ.პ.ს. "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი - IX ლოტზე; შ.პ.ს. "ლუკოილი ჯორჯია"-I, II, IV,V, VI,VII ლოტებზე.

- 2005 წლის 19 აპრილს ახალციხის რაიონული პროკურატურის შენობის კაპ. შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ. "იოსებ სარაშვილი".

- 2005 წლის 6 ივლისს სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ღია ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

- 2005 წლის 10 აგვისტოს სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "ანდანტე".

- 2005 წლის 13 აგვისტოს, პროკურატურის შენობების კაპ. შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია სამლოტიან ტენდერში გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

- ლოტი I და ლოტი II - ს.ს. "ჰიდროსპეცგვირაბშენი";

- ლოტი III - ს.ს. "ინჟშენი"

განიკოებულები და გავანოებულები

ერლომ ახვლედიანის "ვანო და ნიკო" ხელმეორედ გამოიცა

ია ვეკუა

იყო ერთი ვანო და იყო ერთი ნიკო – ერლომის მეგობრები. რაღაცნაირად სხვანაირები და ასე ახლობლები, ამიტომ მეგობარმა ისინი წიგნის პერსონაჟებად აქცია. მათ შესახებ რამდენიმე ნოველა დაწერა, ერთ წიგნად გააერთიანა და დაარქვა უბრალოდ – "ვანო და ნიკო".

ერლომ ახვლედიანის "ვანო და ნიკო" იმთავითვე აღიარეს თანამედროვე ქართული მწერლობის ახალ ტალღად. როდესაც ავტორის მეგობრებმა გურამ რჩეულიშვილმა და ედიშერ გიორგაძემ ნაწარმოები სიმონ ჩიქოვანს წააკითხეს, მან მაშინვე აღნიშნა – "ყინული დაიძრა". თუმცა ამ ძვრას შედეგი ძალიან გვიან მოჰყვა. რამდენიმე ლიტერატურულ ჟურნალში გაგრძელებებით დაბეჭდვის შემდეგ წიგნად მხოლოდ 1987 წელს, შექმნიდან, თითქმის 20 წლის შემდეგ გამოიცა.

დაახლოებით ამდენივე ხანს ელოდა მკითხველი, ვიდრე "ვანო და ნიკო" ხელმეორედ გამოიცემოდა. ვინაიდან ნაწარმოები არნახული პოპულარობით სარგებლობდა, დღეს თითქმის შეუძლებელია ძველი გამოცემის ხელში ჩაგდება. ამ მდგომარეობიდან მარტივი გამოსავალი, ანუ წიგნის ხელახალი გამოცემა, გამომცემლობამ LINK-მა შეთავაზა. წიგნის პრეზენტაცია კი "ლიტერატურულ კაფეში" ლაშა ბუღაძის ოხუნჯობისა და მსგავსი დაწესებულებებისთვის დამახასიათებელი სალონურობის (რაც ამ კაფეს ცნობილი ეკლერის დაგემოვნებაშიც გამოიხატება) ფონზე ჩაიარა.

როგორც წესი, "ლიტერატურულ კაფეში" გამართულ შეხვედრაზე არაფერი იცვლება – არც საღამოების წამყვანი ბუღაძე და არც დამსწრე საზოგადოება – ახალგაზრდა მწერლები და შემთხვევითი გამვლელები. იგივე იყო ერლომ ახვლედიანიც – ჩუმი და თავისთვის, "როგორც სიტყვა "მაშასადამე".

ქართველი ავტორის წიგნის ქართველი მკითხველისთვის გამოცემაზე ამჯერად ჰოლანდიელმა ინგრიდ დერხავემ იზრუნა. გამომცემლობა LINK-ი, სწორედ, მისი დაარსებულია და, ძირითადად, ჰოლანდიური ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემაზეა ორიენტირებული. სხვათა შორის, პირველი ქართული ნაწარმოები, რომელიც ინგრიდ დერხავემ წაიკითხა, "ვანო და ნიკოა". ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც ქართულს სწავლობდა და საკუთარი ცოდნას ერთგვარი გამოცდა ჩაუტარა. წიგნი ბოლომდე წაიკითხა, ვანო და ნიკო გაიცნო, შეიყვარა და მალე, ქართულის უკეთესად შესწავლის შემდეგ, ნაწარმოები მშობლიურ ენაზეც თარგმნა. 2003 წელს "ვანო და ნიკო" ერთ-ერთმა ჰოლანდიურმა გამომცემლობამ დასტამბა, მოგვიანებით კი მთარგმნელს იმავე ავტორის სხვა ნაწარმოების თარგმნა სთხოვა.

LINK-ის მიერ გამოშვებული "ვანო და ნიკო" ერთობ ორიგინალური ფორმითა და დიზაინით გამოირჩევა (რაღაცნაირად ევროპული). წიგნი ღია მწვანე ფერისაა და მართკუთხედი ფორმის. მაია სუმბაძის ორიგინალური და მეტად სახასიათო ილუსტრაციები კი კალკის ქაღალდის ჩანართებზეა დაბეჭდილი. თუ ამ ყველაფერს მთავარ მოვლენას – ერლომ ახვლედიანის არაჩვეულებრივ ნაწარმოებსაც მივუმატებთ, მშვენიერ ლიტერატურულ ჩაროზს მივიღებთ.

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ
საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები
ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
ლელა ბერიძის ფილმში
"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲚᲔᲒ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲜᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲖᲔ:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "გორგასლის";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II",
(ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაკის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის ხლ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ჟურნალ ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".